# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 16 ივნისი, 2009 წელი.

№ 118 (6219)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


# პოლიცია თავისას „აწვება"





● მედიის თავისუფლება პოლიციურად 2

● მძიმე ტრავმით

## გიხაროდენ, საქართველოს ახალი მტერი ჰყავს!.. 3



3

## „ქვათა ღაღადი"

პარლამენტის შენობასთან,

- „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო"
- ასე შორს ვერ წავალთ, მუსიე ფურნიე!
- „ყველამ თავის მამიდას მოუაროს"



5

## ბატონი მიშას ფიქრები – ვიქნები ან... არ ვიქნები!

## ვგმობთ როგორც სოროსულ ხელისუფლებას, ისე სოროსულ ოპოზიციას!

2 საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის განცხადება

## მთავრობას გაზარმაცების კიდევ ერთი 7 შანსი ეძლევა



## ახალი მაგისტრალის 7 მშენებლობას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ

ანდრო ბარნოვი:



## ხელისუფლება ოპოზიციაში რეალური ერთიანობის არარსებობას 6 ეფექტიანად იყენებს

## შენც მინისტრი ხარ, 5 მწერალო?!

ინფორმაცია

## პოლიცია თავისას „აწვება“

**თბილისის შინაგან საქმეთა სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორთან ოპოზიციური პარტიების ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლებსა და პოლიციის თანამშრომლებს შორის დაპირისპირება მოხდა.**

პოლიციის სამმართველოსთან გუშინ იმყოფებოდნენ დაჩი ცაგურია, ირაკლი კორძაია და სხვები. როდესაც ისინი აკეთებდნენ განცხადებას, წინასწარი დაკავების იზოლატორიდან გამოვიდა ხელკეტებით შეიარაღებულ პოლიციელთა ჯგუფი, რომლებიც თავს დაესხნენ ახალგაზრდებს. რამდენიმე ახალგაზრდა შეიყვანეს წინასწარი დაკავების იზოლატორის ეზოში.

ადგილზე იმყოფებოდნენ ოპოზიციის ლიდერები დავით გამყრელიძე და ზურაბ აბაშიძე.



როგორც ახალგაზრდა აქტივისტები აცხადებენ, პოლიციის სამმართველოსთან იმ მიზნით შეიკრიბნენ, რომ ძალოვანი სტრუქტურებისთვის ერჩიათ, დროს, ენერგიას და სახსრებს ნუ დახარჯავდნენ საპროტესტო აქციების მონაწილე ადამიანების იდენტიფიცირებისთვის და ნებაყოფლობით გადასცემდნენ საკუთარ დოსიეებს.

მოგვიანებით ოპოზიციის ლიდერები პოლიციის სამმართველოსთან მივიდნენ, სადაც, მათი თქმით, აქციის დარბევა მიმდინარეობდა.

მანამდე ოპოზიციის ლიდერებს ჰქონდათ საგანგებო პრესკონფერენცია კანცელარიასთან, სადაც „დემოკრატიული მოძრაობა – ერთიანი საქართველოს“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ დიღომში, სადაც ოპოზიციის აქცია მიმდინარეობს, მოხდა დარბევა.

მისი თქმით, ფოტოკამერა წაართვეს მისი პარტიის ფოტოგრაფს ბესო გულაშვილს. ნაცემია ირაკლი ალასანიას გუნდის წევრი ზურაბ აბაშიძე.

## მედიის თავისუფლება პოლიციურად

**შინაგან საქმეთა სამმართველოს წინასწარი დაკავების იზოლატორის ტერიტორიიდან გამოსულმა პოლიციის თანამშრომლებმა „კავკასიის“ ოპერატორს კამერა წაართვეს, კამერა წაართვეს, აგრეთვე, ინტერნეტ ტელევიზია „ჯევიჟენის“ ოპერატორსაც, რომელიც შემდეგ დააკავეს. უცხოური მედიის წარმომადგენლებს წაართვეს ფოტოაპარატები. პოლიციის თანამშრომლებმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს „ინტერპრესნიუსის“ ოპერატორს თორნიკე ზიზიაშვილს.**

პოლიციის თანამშრომლებმა, ასევე სცადეს მიკროფონი წაერთმიათ „მაესტროს“ ჟურნალისტისთვის, თუმცა ეს ვერ მოახერხეს.

## მძიმე ტრავმით

**„ალიანსი საქართველოსთვის“ წევრს ზურაბ აბაშიძეს თბილისის წინასწარი დაკავების იზოლატორთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ ცხვირის ძვლის მრავლობითი მოტეხილობა და ტვინის მძიმე შერყევა აღენიშნება.**

როგორც ღუდუშაურის სახელობის კლინიკის ტომოგრაფიული განყოფილების უფროსმა რამაზ ქურდაძემ განაცხადა, ზურაბ აბაშიძეს ქალა-ტვინის ტომოგრაფიული გამოკვლევის შედეგად ცხვირის ძვლის მრავლობით მოტეხილობა და სისხლისღვრა აღენიშნება.

რაც შეეხება თავის ტვინის დაზიანებას, ქურდაძის განცხადებით, აბაშიძეს თავის ტვინი ორგანულად დაზიანებული არ აქვს, თუმცა ნევროპათოლოგები აცხადებენ, რომ კლინიკურად აბაშიძეს თავის ტვინის მძიმე შერყევა აქვს.

ინტერპრესნიუსი

განცხადება

## ვგმობთ როგორც სოროსულ ხელისუფლებას, ისე სოროსულ ოპოზიციას!

საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტია — Georgian National Ideology Party

**გუშინ დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის დავით გურამიშვილის ძეგლთან საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიამ პოლიტიკური აქცია ჩაატარა, რომელიც მიეძღვნა საქართველოში მიმდინარე მწვავე პოლიტიკურ პრობლემებს.**

აქციაზე პარტიის ძირითადი მოთხოვნები ჩამოაყალიბა მისმა თავმჯდომარემ, ფილოსოფიის პროფესორმა ზურაბ გაგნიძემ. მან აღნიშნა, რომ სიმბოლური აქციის ჩატარება დავით გურამიშვილის ძეგლთან, რომლის დროინდელი ეპოქა ბევრით არ განსხვავდება ჩვენი დღევანდელობისგან. თავად დავითიც მრავალი ჩვენგანის მსგავსად ფაქტობრივად ლტოლვილი გახლდათ.

აქციის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია, რომელშიც ნათქვამია:

**1. ეროვნული იდეოლოგიის პარტია გმობს აშშ-ის პრეზიდენტის ბარაკ ჰუსეინ ობამას ავანტიურისტულ პოლიტიკას ახლო აღმოსავლეთსა და კავკასიაში. საფრთხის ქვეშაა ორი წმიდა მთა, ორი წმინდა ადგილი მსოფლიოში – სიონი და კავკასიონი. ხელები შორს სიონისა და კავკასიონისგან!**

**2. ჩვენი პარტია აღნიშნავს, რომ თუ ახლო მომავალში არ შეიცვლება სოროსული ხელისუფლება, მოსალოდნელია მთელი სოციალურ-პოლიტიკური სისტემის სრული კოლაფსი და კრახი ჩვენს ქვეყანაში. ვგმობთ როგორც სოროსულ პოზიციას, ე. ი. ხელისუფლებას, ისე სოროსულ ოპოზიციას!**

**3. მოვუწოდებთ ქართველ ხალხს, ეროვნული იდეოლოგიის საფუძველზე გაერთიანდეს და კონსოლიდაცია მოახდინოს დღეისთვის ერთადერთი რეალური და პერსპექტიული პრეზიდენტობის კანდიდატის ალექსანდრე ეზრალიძის გარშემო.**

**ზურაბ გაგნიძე,**
საქართველოს ეროვნული იდეოლოგიის პარტიის თავმჯდომარე, პროფესორი.

ოპოზიცია

**ჯერ იყო და გლობალური ეკოლოგიური კრიზისი გვიხეთქავდა გულებს, რომელსაც ახლა გლობალური ეკონომიკური კრიზისიც დაერთო თან. საქართველომ კი ამ ყველაფერს ორი ნაბიჯით გაუსწრო და კიდევ ერთი – სახელმწიფოებრივი კრიზისი დაამატა.**

**ბუნებრივია, ჩვენს ქვეყანას ამდენ კრიზისებში ძალიან გაუჭირდა და სამწუხაროდ, ახალი კრიზისული გამოსავალი იპოვა. სისტემურმა კრიზისმა ეკონომიკურად უკან დაგვხია, – ქვეყნის ბიუჯეტს შევსება უჭირს, პენსიებისა და ხელფასების გაცემა შემოდგომაზე ძალიან გაჭირდება, მოკლედ, კრიზისი გველოდება...**

**ხელისუფლებამ კი გასაჭირიდან ერთობ „გონიერი“ გამოსავალი იპოვა და ჩვენი მამულის გაყიდვა – რაჭა-ლეჩხუმის მთიანი ზონის მრავალათასიანი ჰექტარი ტყის მასივების აუქციონზე გამოტანა და 20 წლით სხვისთვის გადაცემა, სულ რაღაც 3 მილიონ ლარად.**

**13 ივლისს ეკონომიკის სამინისტროში აუქციონი გაიმართება, რომლის ჩაშლასაც ლეიბორისტული პარტიის წევრები აქციის გამართვით გეგმავენ. გვესაუბრება პარტიის გენერალური მდივანი გიორგი გუგავა:**

# გიორგი გუგავა: მცირედი პაუზის შემდეგ, ტყეები და ჭალები კვლავ იყიდება

## რაჭა-ლეჩხუმის ტყეები 20 წლით გასხვისდება

– ისე როგორც ძაღლის კუდი არ გასწორდების, სააკაშვილისა და მისი ხელისუფლების გამოსწორებაც შეუძლებელია. შეუძლებელია მათ ხელი აალებინო ეროვნული სიმდიდრეების – ხეების, ჭალების, მდინარეების და სხვა სტრატეგიული ობიექტების გაყიდვაზე, გასხვისებაზე.

მცირედი პაუზის შემდეგ, როგორც კი ფული შემოაკლდათ, იმ წუთში ტყის მასივები გამოიტანეს გასაყიდად. გახსოვთ, თავის დროზე ეს პროცესი ეკონომიკის სამინისტროსთან აქციებით შევაჩერებინეთ. მაგრამ ახლა მაინც გამოიტანეს აუქციონზე რაჭა-ლეჩხუმის მრავალათასიანი ტყის მასივები გასასხვისებლად, 20-წლიანი უფლებით.

20 წელიწადში იქ არ დარჩება არც ხე და არც ბუჩქი. და როდესაც ყველაფერს ამოძირკვავენ, მერე მის საკუთრებას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება.

ამ ეკოსისტემის შექმნას, აღდგენას საუკუნეები დასჭირდება. როცა ბუნების ბალანსი ირღვევა, ეს ეკოლოგიური კატასტროფაა, რაც სტიქიურ მოვლენებს იწვევს. მაგრამ ესენი არაფერს დაგიდევენ, ოღონდ კი ფული იშოვონ. ტყეების და ჭალების 30 პროცენტი უკვე გასხვისებულია, ახლა დარჩენილსაც მიადგნენ.



ჩვენ ჩვენს მამულში აღარაფრის მესაკუთრენი არ დავრჩებით. და ეს იქნება დანაშაული მომავლის წინაშე.

**– არაერთი აქცია გამართეთ მსგავსი ტენდერებისა თუ აუქციონების გასაპროტესტებლად...**

– შევაჩერეთ კიდეც რამდენიმე პროცესი. ეკონომიკის მინისტრმა განაცხადა, ჩვენ ასეთი ობიექტების გასხვისებას არ ვაპირებთო. მაგრამ ახლა ფული შემოაკლდათ, თანაც ჰგონიათ, რომ ცხელ ზაფხულში საზოგადოების აქტიურობა ნაკლებია. მაგრამ ამის მიუხედავად, ჩვენ „ჩასაფრებული“ ვიქნებით და ყოველთვის გავახმიანებთ მსგავს უგუნურ გადაწყვეტილებებს.

რაჭა-ლეჩხუმის მთიანი ტყის მასივებს, მრავალ ათას ჰექტარზე გადაჭიმულს, 3 მილიონად ჰყიდიან.

**– ოფიციალურად არის გამოქვეყნებული?**

– დიახ. ოფიციალურად დევს ეკონომიკის სამინისტროს ვებ-გვერდზე გარემოს დაცვის მინისტრის დასკვნის საფუძველზე. აი, ასეთ შედეგებს გვაძლევს, როცა მომღერალი კაცი გვყავს მინისტრად. შევახსენებ ხაჩიძეს, რომ მხოლოდ მტკვრის სანაპიროზე ცელოფნის პარკების დევნა ბუნების დაცვა არ არის.

ჩვენი ქვეყანა ბუნებრივად არის ეკოლოგიურად უნიკალური, ესენი კი ნაჯახმომარჯვებულები არიან...

**– გასხვისებისას არ არის რაიმე პირობა ჩადებული, რომ უნიკალური ჯიშების განადგურება არ შეიძლება ან სხვა?**

– გასხვისების პირობა არის გაჩეხვა. იქ ხარობს უნიკალური ჯიშები, რომელთა გაჩეხვა არ შეიძლება. მაგრამ ესენი ამოსაგებ თანხებზე ფიქრობენ მხოლოდ. აუქციონის პირობები არის 20 წლის განმავლობაში ხის ჭრა, არა გამოხშირვით ჭრა ან რამე, არამედ პირდაპირ ხის მოჭრა და სხვა არაფერი.

**– ვინმემ თუ გამოთქვა აუქციონში მონაწილეობის სურვილი?**

– არა, ჯერჯერობით განაცხადი არავის არ შეუტანია. 13 ივლისს გახდება ცნობილი, მაგრამ ჩვენ შევეცდებით ასეთი მავნებლური გადაწყვეტილებები შევაცვლევინოთ და ჩვენი აქტივისტები ამ აუქციონს აუცილებლად გავაპროტესტებთ.

**– ბატონო გიორგი, აკი ქამრები უნდა შემოვიჭიროთ და გავიჭირვოთო?**

– ამათი ქამრების შემოჭერა, ეს არის უცხოეთში წასვლა-წამოსვლა, ძვირადღირებული მანქანების შეძენა... მაგრამ, ეტყობა, ახლა ძალიან გაუჭირდათ და ამიტომაც სანთლით ეძებენ გასასხვისებელ და გასაყიდ ობიექტებს, მაგრამ რომ აღარ დარჩათ? – ისედაც ყველაფერი გაყიდულია!

ესაუბრა
**თეა მოსია**

ინფორმაცია

## მამისონი — ახალი სატკივარი

**საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელის ბადრი ბიწაძის განცხადებით, მამისონის უღელტეხილთან**



**მდებარე მეტეოცენტრს და იქვე მდებარე ორ საგუშაგოს ქართველი მესაზღვრეები გასული წლის შემოდგომამდე აკონტროლებდნენ. მეტეოცენტრიდან დაახლოებით ორ კილომეტრში მდებარეობს ორი საგუშაგო და საბაზო სექტორი, რომელიც ამ საგუშაგოებს ემსახურება და ქართველი მესაზღვრეები ზამთრის პერიოდის გამოკლებით იქ მუდმივად იმყოფებოდნენ, — განაცხადა ბადრი ბიწაძემ. მისივე თქმით, მართალია ქართველ მესაზღვრეებს იქ რაიმე მძიმე შეიარაღება არ ჰქონდათ, თუმცა დაახლოებით 30-მდე მესაზღვრე ყოველთვის იცავდა ამ ტერიტორიას.**

**ნიკო ლეკიშვილის განცხადებით კი, აღნიშნულ პოსტებს ქართული მხარე რუსულ მხარესთან შეთანხმებით აკონტროლებდა. ამის შესახებ რუსეთის ხელისუფლებასთან უმაღლეს დონეზე შედგა შეთანხმება 1997 წლიდან და მას შემდეგ ქართველი მესაზღვრეები ამ ტერიტორიას აკონტროლებენ, — განაცხადა ნიკო ლეკიშვილმა.**

ინტერპრესნიუსი

## ◉ საკვირაო მიმოხილვა

# გიხაროდენ, საქართველოს ახალი მტერი ჰყავს!..

*მართლაც, როდემდე უნდა შეგვეშინებინა თავი ამ უნდო რუსებისგან. შარშანდელი აგვისტოდან აგერ, ათი თვე გავიდა, ისინი კი რაღაცას ახალგორში (ლენინგორში!) ჩხირკედელაობენ და თავისი არმიების დაძვრას თბილისისკენ სულაც არ ჩქარობენ. ჩვენ კიდე, საკუთარი გაჭირვების დასავიწყებლად, ახალი შიშები გვჭირდება.*



### მაისაშვილის ეპისტოლე

**გია მაისაშვილი სახელგანთქმული ეკონომისტი, კონსტიტუციონალისტი და კოკო გამსახურდიასთან ერთად, ოპოზიციის ერთ-ერთი (დიდი) ლიდერი რომ იყო, თანაც, ამერიკულად განათლებული, ვიცოდით, მაგრამ მხატვრული სიტყვის ოსტატიც თუ იქნებოდა, არ მეგონა.**

გასულ კვირაში ბატონმა გიამ ყოფილ მეგობარს და თანამოაზრეს, მიშას, ჩვენთვის – პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს – უზარმაზარი წერილი გაუგზავნა. თანაც, უბრალო კი არა, „ღია" წერილი. ამ დოკუმენტის მასშტაბების გამო, მასზე დაწვრილებით საუბარი შეუძლებელია. ვიტყვი მხოლოდ, რომ ძალიან ყურადღებით წავიკითხე და ყველაფერში ვეთანხმები ავტორს. რა თქმა უნდა, შესაძლებელი იყო კიდევ უფრო მეტი არგუმენტების მოშველიება ხელისუფლების არაადეკვატურობის დასამტკიცებლად და ბატონი პრეზიდენტის ნამუსზე შესაგდებად. განუზომლად მეტის. შეიძლებოდა უფრო მწარე დასკვნების გამოტანაც, პრეზიდენტის პოლიტიკური ნათლიმამების მამაპაპურად მოხსენიებაც და სხვა მრავალი.

მიმაჩნია, რომ „მაისაშვილის ეპისტოლე", მისი სიმართლის და აქტუალობის მიუხედავად, იყო უკიდურესი გულუბრყვილობის გამოვლინება მაისაშვილის მხრიდან. საქმე ის არის, რომ გიას ნამეგობრალი მიშა „ღია წერილებს" არ კითხულობს, ის კითხულობს მხოლოდ ვანოს „დახურულ წერილებს" და კაკალაშვილის პოეტურ ქმნილებებს. რაც მთავარია, პრეზიდენტს მოთმინება ბიუჯეტის კანონის წასაკითხად არ ჰყოფნის და თავს მაისაშვილის უვრცესი ეპისტოლეს კითხვით ნამდვილად არ გაიცხელებდა. მით უფრო, არ წაიკითხავდა, კითხვის მოყვარული რომ ყოფილიყო – დრო არ ექნებოდა. მოკლედ, გია ამაოდ დაშვრა. თუმცა, თუ ავტორი ძალიან შემეხვეწება, შემიძლია მომავალში რედაქტორობა გავუწიო. ვინ იცის, იქნებ პოლიტიკოსობას მწერლობა სჯობდეს – ბატონ გიას აშკარად ეტყობა მიდრეკილება ბელეტრისტიკისკენ.

### ზოოპარკის ლომი, თუ ცხრათავიანი ურჩხული

**გასული კვირის განმავლობაში კიდევ უფრო გაღრმავდა ოპოზიციური ერთობის დაშლის ტენდენცია. ძირითადი მოთხოვნები ერთნაირია, მაგრამ ბრძოლის ტაქტიკას ყველა ინდივიდუალურად ირჩევს. მართალია, საქმის ასე შემოტრიალება ძალიან ახარებს ნაცების იდეოლოგებს, მაგრამ, ვფიქრობ, მწარედ ცდებიან.** ან მიშა-უფროსს „ასიაფანდებენ" – ხო ხედავ, რა მაგრები ვართ, ოპოზიცია დავშალეთო! სინამდვილეში, შესაძლოა, ხელისუფლებამ ერთი წესიერი, ზოოპარკში აღზრდილი ლომის ნაცვლად მიიღოს მძვინვარე და დაუნდობელი ცხრათავიანი ურჩხული, რომლის ყველა თავი ნაცების სისხლზე იქნება დაგეშილი. დამეთანხმებით, ხელისუფლება ცხრა ან თექვსმეტი თავის წინააღმდეგ ბრძოლა გაუძნელდება. მით უფრო, თუ იმ თავებს შალვა ნათელაშვილის სახე ექნება.

თუმცა, ნაცების გონებრივ ცენტრში, ეტყობა, სწორედ საპირისპიროს მსჯელობენ. სავარაუდოდ, იქ დაიბადებოდა „დე ფაქტო" და „ნამდვილი" პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისა და ლევან გაჩეჩილაძის პირისპირ დახურული შეხვედრის იდეა. გასულ კვირაში ეს ისტორიული შეხვედრა გაიმართა კიდეც და, წარმოიდგინეთ, შედეგიც მოგვცა – მთელი ხელისუფლება ერთხმად ღაღადებს, რომ პრეზიდენტი ვითარების დასათბობად მორიგ დათმობაზე წავიდა – შეხვდა ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერს! რამე სხვა აზრი ამ გახმაურებული დახურული „სეროზიდან" ვერც საზოგადოებამ გამოიტანა და ვერც საკუთარი რეპუტაციის გმირულად სასწორზე შემგდებმა ლევან გაჩეჩილაძემ.

დასკვნების გამოტანა მართლაც ურთულესი საქმეა, რადგან მთლიანად ხელისუფლება, პირადად პრეზიდენტიც საუბრობენ ერთს და აკეთებენ საპირისპიროს – სიტყვით მოუწოდებენ დიალოგისკენ, თანხმობისკენ და ერთიანობისკენ; პოლიტიკურ ოპონენტებს ხელისუფლებაში ეპატიჟებიან; ამავე დროს კი აგრძელებენ ყოვლად გაუგებარ რეპრესიებს იმავე პოლიტიკური ოპონენტების წინააღმდეგ. ასე იყო გასულ კვირაშიც, როცა სხვადასხვა საბაბით განსასჯელის სკამზე კიდევ რამდენიმე ოპოზიციონერი აღმოჩნდა.

### მამაცი დეპუტატები

**შევცდი და გულწრფელად ვინანიებ – გასული კვირის მთავარი მოვლენების მიმოხილვა სწორედ ამ ღირსსახსოვარი ფაქტით უნდა დამეწყო: ხანგრძლივი და წარმატებული კონსპირაციის შემდეგ ქართული პარლამენტი იატაკქვეშეთიდან გამოვიდა, საიდუმლო შესასვლელებით პარლამენტის შენობაში შეაღწია და პირველი სხდომაც ჩაატარა.** რაც მთავარია, კვერცხებით, პამიდვრებით, სტაფილოებით და წყლით სავსე ბოთლებით შეიარაღებული ოპონენტები ერთ ხანს პირში ჩალაგამოვლებული დატოვა. სამუშაოს დამთავრების შემდეგ კი ისეთ ძალიან მამაც დეპუტატებს, როგორებიც „ოპოზიციონერი" გიორგი თორთლაძე, კონფორმისტი გიორგი ასანიძე და აფერისტი ლევან თარხნიშვილი ბრძანდებიან, კვერცხებიან ბიჭებთან „საქმის გარჩევა" მაინც მოუწიათ.

იხ. 4 გვ.

## ◉ გულის ბუხარი

# „ქვათა ღაღადი" პარლამენტის შენობასთან,

## ანუ „დემოკრატია", „მეგობრები" და კანონების მიღება „ოპტომ"

**როგორც იქნა, ხელისუფლებამ გაბედა და, 9 აპრილიდან მოყოლებული, ორ თვეზე მეტი ხნის პაუზის შემდეგ, პარლამენტის პლენარული სხდომის გამართვა სცადა. მაგრამ ვიდრე 12 ივნისს „ხალხის რჩეულთა" შეკრება გაიმართებოდა, წინასწარ ამის შესახებ არავისთვის, თვით დეპუტატებისთვისაც არაფერი იყო ცნობილი და, როგორც ამბობენ, პარლამენტის შენობაში დილით ადრე, ცხვრებივით შერეკილ უმრავლესობისა და ე. წ. საპარლამენტო ოპოზიციის ოდიოზურ წევრებს ალბათ „აჯახეს" მათი მალულად შეკრების მიზეზი და საზოგადოებისთვის აგრერიგად მონატრებული სხდომაც გაიხსნა.**

გაიხსნა, მაგრამ რა „დაისხა" – ორიოდე საათში თუ ოდნავ მეტში, რამდენიმე ათეული კანონის მიღება მოუსწრიათ ხალხზე ზრუნვით „დამაშვრალ" დეპუტატებს, მაგრამ რად გინდა?! გაუგია საიდუმლო „სხადნიაკის" შესახებ უმადურ, ნაცსიკეთეების დაუნახავ რადიკალურ ოპოზიციას და,



პარლამენტის შენობაში კი შეიპარეთ, მაგრამ ახლა გამოსვლა ხომ გინდათ, ერთი თქვენც ნახეთ სირცხვილის კორიდორებიო და სანოძის მიბაძვით წყლით საწუწაოდ გამზადებული, ლაყე კვერცხებით შეიარაღებული ახალგაზრდები დაახვედრეს, რომლებმაც – კვერცხი, მაგ კვერცხებსო! და...

**რეალურად, გაძლიერებულ დაცვას მაქსიმუმ 10-15 დეპუტატის უსაფრთხოდ გამოყვანის პრობლემა ჰქონდა, თორემ დანარჩენები არც არავის აინტერესებდა და არც არავინ იცნობს სახეზე, რადგან ყველა ერთად და ცალ-ცალკე, რადიატორთან მჯდომი ვალოდია ჭინჭარაძეები არიან.**

რაც შეეხება იმ 10-15 ადამიანს პოზიციიდან თუ „ოპოზიციიდან", რომლებიც დამსახურებული „სიყვარულით და პატივისცემით" სარგებლობენ საზოგადოებაში: ხათუნა ოჩიაური, ეკა ხერხეულიძე, ნუგზარ წიკლაური, ხათუნა გოგორიშვილი, გივი და გიორგი თარგამაძეები, თუ სხვები და სხვები, როგორც ჩანს, „ჩორნი ხოდიდან" გაიპარნენ და სირცხვილის კორიდორებს პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე, ალპინისტი გია თორთლაძე და ძალოსანი გიორგი ასანიძე შერჩნენ. ბაქრაძის დაბურულმინიანი მანქანა პოლიციამ „ალყაში" მოაქცია და თავმჯდომარის სმენას თუ ხედვას ახალგაზრდების სტვენა და კვერცხების სროლა თუ მისწვდა. რაც შეეხება პადოშა ევერესტივიჩსა და ოლიმპიურ ჩემპიონს, ცხონებული აზონ ციციაშვილისა არ იყოს, ეტყობა მათაც რონალდ რეიგანივით დაავიწყდათ ძველი ქართული ანდაზა...

### „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო"

**საზოგადოებას ახსოვს, თუ როგორი სიყვარულით სარგებლობდნენ ერთიცა და მეორეც სულ ახლო წარსულში.** გვახსოვს ის სიხარული და სიამაყე, რაც 2004 წელს განვიცადეთ ათენში გიორგი ასანიძის ჩემპიონობის გამო, რის შემდეგაც ათასობით ქართველი დახვდა აეროპორტში, საიდანაც ხელში ატაცებული გამოიყვანეს მადლიერების



ჯიბიდან არ გაგივარდეს, ვერან!

ნიშნად. ამ ოლიმპიური ჩემპიონის აწეულ შტანგას მაშინ დააკლდა ხალხის თვალში წონა, როდესაც ეს კაცი ლამის პირდაპირ აეროპორტიდან, გლდანის მაჟორიტარი გახდა, ხოლო საბოლოოდ მაშინ შერაცხა საზოგადოებამ ოდიოზად, როცა ამ კაცს ვაჟკაცობა არ ეყო ბადრი პატარკაციშვილისთვის ერთი სიტყვის შესაწევად.



„კვერცხს" – გოგლიმოგლი!

თითქმის იგივე შეიძლება ითქვას გია თორთლაძის შესახებ. თავის დროზე ნაციონალების სიით გასული დეპუტატი სანდრო გირგვლიანის, ბუტა რობაქიძის, იგივე ბადრი პატარკაციშვილის თუ სხვა სისხლიანი თუ უსისხლო უსამართლობის გამო გაოპოზიციონერებული, 7 ნოემბერს სხვებთან ერთად დარბეული, 21-მაისის გაყალბებული არჩევნების შემდეგ დეპუტატის სავარძელს იკავებს.

**თუმც დეპუტატიც არის და დეპუტატიც – მას შემდეგ გასული დროის მანძილზე, რომ იტყვიან ყველას „მოუჯოკრა", მათ შორის ცნობილ ნაცოდიოზებს – გუშინდელ თანამებრძოლთა – ოპოზიციასთან მიმართებით მასავით აგრესიული და, რაც ყველაზე მეტად საწყენია, ყველაფერ იმასთან, რაც მისი პირიდან ამოდიოდა, ძნელად რომ ვინმე კიდევ იყოს. სწორედ ამის შემდეგ და ამის გამო გახდა „პადოშა" დამცინავი მეტსახელი, თორემ ადრე უხდებოდა კიდეც ეს „კლიჩკა" ევერესტის დამპყრობს. დღეს აღარც ის გინდა გჯეროდეს, რომ ამ კაცმა დაადგა ფეხი უმაღლეს მწვერვალს, რადგან ალპინიზმი მართლაც ნამდვილი, უღალატო კაცების სპორტია.**

ასეა, ბატონებო! სიყვარულიდან სიძულვილამდე ერთი ნაბიჯია და პადოშამ თუ ასანიძემ თავის თავს დააბრალონ. სიძულვილს ვინღა ჩივის, ის საყოველთაო ზიზღი, რაც აშკარაა მათ მიმართ. რაც დათესეს, იმას იმკიან და სულაც არ მიკვირს, თუ ერთი გოგლიმოგლში ამოვლებულს ჰგავდა, ხოლო მეორეს მსუბუქად წაუთაქეს დიპლიპიტო თავში.

ესეც არ იკმარა და რადიო „პალიტრის" პირდაპირ ეთერში ტყვიის სროლით დაემუქრა შვილის ხელა ბავშვებს. **პადოშას ამ აშკარად პროვოკაციული გამოხდომის შემდეგ ვინმე მადლიანმა რომ „დაუპადიეზდოს" და იარაღი, რომლის ტარების უფლებითაც აშინებს ახალგაზრდებს, სადაც საჭიროა, იქ შეტენოს და, რაც სიგრძე აქვს, ის სიგანე მისცეს, ვინმეს გაუკვირდება, ან ღირსი არ იქნება?**

იხ. 4 გვ.

**საკვირაო მიმოხილვა**

(მესამე გვერდიდან)

# გიხაროდენ, საქართველოს ახალი მტერი ჰყავს!..

მანამდე, სიგუა-იოსელიან-კიტოვანის ალყის გადამტანი შენობის მრავალრიცხოვან დაცვას კვერცხოსანთა თავგანწირული შეტევის მოგერიება მოუხდა. უფრო სწორად, მოალყეთა ამ მრისხანე იარაღს შენობამ ვაჟკაცურად გაუძლო. თავად მოიერიშეთა უწმაწურ კომენტარებზე უმრავლესობის უმრავლესობას, ბატონი თორთლაძის გარდა, პასუხი არ გაუცია. აი, თორთლაძე კი ზუსტად ისე მოიქცა, როგორც მრავლისმნახველ, მრავალი მწვერვალის დამპყრობ და მრავალ პარტიაზე გადამხტარ მაგარ მთაწმინდელ ბიჭს შეეფერება. მან კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ არაფრის და არავისა არ ეშინია, ლუსტრაციის კანონზე და „წვერებიან კაგებეშნიკებზეც“ „წაგვინამიოკა“. სხვათა შორის, ნებისმიერი კანონი, მათ შორის, „ლუსტრაციის შესახებაც“, უნდა მიიღოს პარლამენტმა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წევრი (ეკა ხერხეულიძის შემდეგძ ბრძანდება თვითონ ბატონი გია თორთლაძე. აბა, კანონს ძმები „გრეჩიხები“ ხომ ვერ მიიღებენ №5 საკანში?

ასე თუ ისე, უწყინარი წუწაობის და კვერცხებით ომის შემდეგ ვანოს ბიჭებმა ოპოზიციის მხრიდან კიდევ რამდენიმე აქტივისტი დააკავეს. ჰო, კინაღამ დამავიწყდა, ამ დღეს პარლამენტმა სამოცამდე ისტორიული გადაწყვეტილება მიიღო. პარალელურად, მუშაობას შეუდგა კონსტიტუციის დამდგენი 75-კაციანი კომისია პრინციპულობით განთქმული ავთანდილ დემეტრაშვილის თამადობით. იმედია, თუ კომისია შეუფერხებლად იმუშავებს, 2013 წლის ბოლოსთვის კიდევ ერთი ახალი ქართული კონსტიტუცია მზად გვექნება და დავიწყებთ მუშაობას ახალ კონსტიტუციაზე.

სხვათა შორის, ახალგაზრდა ოპოზიციონერთა მართლაც მეტისმეტად თავგამოდებულ მცდელობას (აქა-იქ კვერცხებს რიყის ქვაც გააყოლეს!ძ, ცოტა შურისძიების ელფერიც დაჰკრავდა, რაც ჩვენი ევროპელი მეგობრების მახვილ თვალს არ გამოჰპარვია. ჩეხეთისა და საფრანგეთის ელჩებმა საჯაროდ აგვიხსნეს, რომ ხალხის რჩეულ დეპუტატებზე, გნებავთ სიტყვიერი, გნებავთ კვერცხიერი თავდასხმა არის კანონდარღვევა და ჩვენ, ქართველებს, მეტი თავდაჭერა მოგვეთხოვება. ოქრო სიტყვებია, ოღონდ, ცოტა დაგვიანებული — როცა ხელისუფლების მითითებით ქუჩიდან ხალხს იტაცებდნენ, სასტიკად სცემდნენ, ტყვიას ესროდნენ, არჩევნებს აყალბებდნენ, ომს აგებდნენ, ხაზინას ძარცვავდნენ, საკუთარ ხალხს და მსოფლიოს თვალში ნაცარს აყრიდნენ, ამ ჯენტლმენებს მსგავსი განცხადებები მაშინ რომ გაეკეთებინათ, მათ სიტყვას დღეს მართლაც დიდი ფასი დაედებოდა.



არ ვიცი, ამას რა დავარქვა, მაგრამ მადლიერმა ხელისუფლებამ ამ განცხადების შემდეგ ბატონი ელჩები სიღნაღში პიკასოს ნახატების დასათვალიერებლად მიიპატიჟა.

## მტრები, მტრები, მტრები...

**როგორც მოსალოდნელი იყო, რუსმა მტერმა აშკარად დაჰკარგა აქტუალობა. ახლა ახალი მტერია საჭირო და, მადლობა ღმერთს, იგი გამოჩნდა — არც მეტი, არც ნაკლები — გაერო და მისი გენერალური მდივანი, კორეელი პანგ ი მუნი!**

ბატონი მიხეილ სააკაშვილი ბოლო დროს ჩვეული სიმამაცით და უკომპრომისობით უტევს ამ ყველაზე ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას. მისი თქმით, თუ გაერო ცალსახად არ დაიჭერს საქართველოს პოზიციას რუსების წინააღმდეგ, მაშინ გაეროს მისიის საქართველოში ყოფნა ყოველგვარ აზრს ჰკარგავს. აი, ხომ მიდის ეუთოს მისია და ამით არაფერიც არ შავდება. წავიდეს გაეროც! ჩვენ არც ერთ გოჯ (ერთ კვადრატულ მეტრძ ქართულ მიწას არ დავთმობთ — ასეთია საქართველოს პრეზიდენტის და მისი „ჩემი გუნდის“ უმტკიცესი გადაწყვეტილება.

ჯერჯერობით რუსეთმა ამის შესახებ არაფერი არ იცის და მშვიდად ემზადება ჩრდილოეთ კავკასიაში მორიგი ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნებისთვის, ამაგრებს „საზღვრებს“ საქართველოს ახლად ოკუპირებულ ტერიტორიებზე და იპყრობს (უომრად იპყრობს!ძ ახალ ქართულ ტერიტორიებს — მამისონის უღელტეხილიდან (იმ უღელტეხილიდან, რომლის გადმოლახვა მეორე მსოფლიო ომის დროს თვით „ედელვაისის“ სამთო დივიზიამაც კი ვერ შეძლო!ძ საქართველოს შიგნით 18 (თვრამეტ!ძ კილომეტრზე იჭრება. აფეთქებების გრუხუნი ისმის ზუგდიდში.

ჩვენი მამაცი ხელისუფლება კი ამ დროს პანგ ი მუნს და კვერცხისროლია ბიჭუნებს ებრძვის. აღარაფერს ვამბობ ოპოზიციის ლიდერებზე, განსაკუთრებით, ნინო ბურჯანაძეზე, ვის მიმართაც ხელისუფლებას ლამის პათოლოგიური შიშები დასჩემდა.

სამაგიეროდ, არავითარი შიში და შეშფოთება ქართული ეკონომიკის გამო, რომელსაც უახლოეს მომავალში სრული კრახი ელის. უფრო პროზაულად, უახლოეს მომავალში საქართველოში დარჩენილ მოსახლეობას ელის შიმშილი, ხელისუფლებას — „მშიერი ბუნტი“. ტრადიციული წაყრუება და თავის მოტყუება ამ საქმეს ველარ უშველის.

**თეიმურაზ ქორიძე**

**განსჯა**

(მესამე გვერდიდან)

საბოლოო ჯამში პარლამენტარებისთვის სირცხვილის კორიდორების მოწყობა, ურთიერთ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა და არა მხოლოდ პოლიცია-მომიტინგეთა შორის. საქმე ქვების სროლამდეც მივიდა. ვინ ისროლა პირველმა, ამის გარკვევა ვიდეოკადრებით პრაქტიკულად შეუძლებელია. თუმცა გარკვეულ ლოგიკაზე დაყრდნობით ვარაუდები შესაძლებელია. ასეთი ინციდენტის დროს, როგორც წესი, ხელისუფლებაა „აკრძალული იარაღის“ გამოყენების ინიციატორი, რადგან ოპოზიციის ინტერესებში არ შედის ასეთი რამ.

ამის დასტურად ნინო ბურჯანაძის მიერ ინგა გრიგოლიას „პოლიტიკურ კვირაში“ წარდგენილი ვიდეომასალაც კმარა, რომელიც ქალბატონმა ნინომ იმის საილუსტრაციოდ გააშვებინა, თუ ვინ იყო ქვასროლია. კადრები ასახავდა სააკაშვილის ოპოზიციონერობის დროს ბოლნისის მისადგომებთან გამართულ სისხლიან ცემა-ტყეპას, ორმხრივ ქვების სროლას, რაზედაც ინგას შემდეგმა სტუმარმა პეტრე ცისკარიშვილმა თქვა, რომ პირველი ქვა მაშინდელმა ხელისუფლებამ გვესროლა, რომლის ზონდერ-ბრიგადებთან მოგვიწია ხელჩართული ჩხუბიო და აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონ პეტრეს — ნამდვილად მასე იყო!!!

ისე იყო თუ ასე მაშინ, „ვარდების რევოლუციის“ წინ ვერაფრით ამართლებს იმას, რაც გასულ პარასკევს პარლამენტის შენობასთან მოხდა. მით უმეტეს მიუღებელია იმ ქვათაცვენაში ერთმნიშვნელოვნად ოპოზიციის დადანაშაულება. არადა, სწორედ ამას ემსახურებოდა თბილისში აშშ-ს ელჩის, ჩეხეთის ელჩის (უკვე მეორედძ, ევროემისრის პიტერ სემნების და განსაკუთრებით საფრანგეთის ელჩის მუსიე ერიკ ფურნიეს მიერ ქართულ ენაზე (!!! ავტ.ძ გაკეთებული საგანგებო განცხადება, რომელმაც ოპოზიციის ლიდერების მკვეთრი კომენტარები, ხოლო გოგა ხაინდრავას დაუფარავი აღშფოთება გამოიწვია. და რაც ყველაზე საგულისხმოა, გოგა ხაინდრავას პათოსს იზიარებს საზოგადოების, ინტელიგენციის უმრავლესობა. მათ შორის თქვენი მონა-მორჩილიც, რადგანაც...

# „ქვათა ღაღადი“ პარლამენტის შენობასთან,

## ანუ „დემოკრატია“, „მეგობრები“ და კანონების მიღება „ოპტომ“

ხალხის მიერ არჩეული დეპუტატების შეურაცხყოფა, პარლამენტის თავმჯდომარის მანქანისთვის ქვების სროლა დემოკრატიის შეურაცხყოფაა. — აი, შინაარსი იმ განცხადებისა, რომელიც იმავე საღამოს, ქართულ ენაზე, საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა საფრანგეთის დესპანმა, რაც უმალ აიტაცეს ნაცების ტელევიზიებმა და დღემდე ათასგზის „დაატრიალეს“ შესაბამისი კომენტარებით, რომ მუსიე ერიკ ფურნიე ქართულად იშვიათად, განსაკუთრებულ შემთხვევებში ლაპარაკობსო. დაახლოებით იგივე შინაარსის განცხადებები გააკეთეს აშშ-ს საელჩომ, პიტერ სემნებმა.



მამიდა გყაავს?

და ეს იმ ფონზე, რომ ქართული საზოგადოების დიდი ნაწილი აგერ ლამის სამი თვეა ამაოდ ელის საქართველოს „მეგობარი“ ქვეყნებისგან თუნდაც ორაზროვან, მაგრამ რაღაც მინიშნების შემცველ განცხადებას მაინც, რომ მხარს თუ არ უჭერენ, სამართლიანად მაინც თვლიან არნახული მასშტაბის პროტესტს — ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე დაუჭირეს მხარი სააკაშვილის რეჟიმს.

### ასე შორს ვერ წავალთ, მუსიე ფურნიე!

**უფრო სწორად თუ ვიტყვით, შეიძლება ძალიან შორს წავიდეთ იმ არასასურველი მიმართულებით, რომლის ნიშნებიც გამოჩნდა აგვისტოს ომის შემდგომ და, რაც უფრო აშკარად იკვეთება 9 აპრილის საპროტესტო აქციების მერე ზოგადად ანტიდასავლური და კონკრეტულად ანტიამერიკული განწყობების მზარდი ტენდენციები ქართულ საზოგადოებაში.**

**მუსიე ფურნიე უფრო შორსაც წავიდა — რბილად რომ ვთქვათ, მისი არადიპლომატიური განცხადების შემდეგ მიშა სააკაშვილთან ერთად სიღნაღში გამოჩნდა. რა არის ეს, თუ არა სიტყვებს მიდევნებული ჟესტი, რაც, ჩემი აზრით, ერიკ ფურნიეს „მხარედ“ დაფიქსირებას ნიშნავს?**

ყოველივე ზემოთ თქმულმა თავისი შედეგები უკვე მოიტანა — დიპლომატიური კორპუსების არადიპლომატიურმა სიტყვებმა თუ ჟესტებმა, როგორც ჩანს, შეაგულიანა მიშა სააკაშვილი — დააპატიმრეს რამდენიმე ახალგაზრდა. ვინც ჯერ ვერ დაიჭირეს, მათზე ლამის ნადირობაა გამოცხადებული.

იქნებ ახლა მაინც მოვეგოთ გონს და ერთხელ და სამუდამოდ დავიმახსოვროთ, რომ ჩვენი დამხმარე არავინ არის. შიდა თუ გარე პრობლემები თავად უნდა მოვაგვაროთ. აქედან გამომდინარე, ალბათ, დროა ჩვენს „მეგობრებს“ ვუთხრათ — თუ არ გვეხმარებიან, ხელს მაინც ნუ გვიშლიან. ანუ ერთი თბილისური გამოთქმისა არ იყოს....

### „ყველამ თავის მამიდას მოუაროს“

**რადგან ქართველებს ზრდილობა ნამდვილად არ გვესწავლება. მით უმეტეს ერიკ ფურნიესაგან, რომლის სამშობლოში ისე „სცემენ პატივს“ დემოკრატიას, რომ ამას წინათ ლამის ნახევარი პარიზი გადაწვეს და იავარჰყვეს. ჩვენ რომ გვამუნათებენ, დემოკრატია შეურაცხყვეთო, იქნებ საკუთარი გაიხსენონ.**

იქნებ ის არის დემოკრატიის პატივისცემა, რომ საქართველოში მრავალგზის გაყალბებულ არჩევნებს „უპარავენ“ ნაცებს ფურნიეები, რისი პირდაპირი შედეგიც იყო აგვისტოს ომი, რომლის დროსაც ჯორჯ ბუში პირდაპირ ეუბნებოდა სარკოზის — რა გინდა მოსკოვში, ქართველების ოხერი დედაც... გაუშვი, რუსებმა თბილისი აიღონო!

თუ ის არის დემოკრატია, როცა 9 აპრილიდან დღემდე ასობით მომიტინგეა უმოწყალოდ ნაცემი და ბევრი დაპატიმრებული? იქნებ ის არის დემოკრატიის პატივისცემა, როცა უფორმო ნილბოსნები არბევენ მიტინგს და მერე ამბობენ, პოლიციელები იყვნენო და ისევ მომიტინგეებს აპატიმრებენ? ან იქნებ ის, როცა 6 მაისს რეზინისა და პლასტიკური ტყვიები დაუშინეს უიარაღო ხალხს? ან იქნებ ის, რომ ნაციონალური მაუწყებლობის სამივე ტელევიზია ოკუპირებულია და „მაესტროს“ თანამგზავრზე გასვლის უფლებას არ აძლევენ?

მსგავსი კითხვების დასმა უსასრულოდ შეიძლება მუსიე ფურნიესთვის და მისნაირებისთვის, მაგრამ იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორი ორმაგი სტანდარტებით მოქმედებენ ჩვენი დასავლელი „მეგობრები“, ესეც საკმარისია.

**ზემოთ ვთქვი და ახლაც ვიმეორებ — საქართველოში უკვე აშკარად იგრძნობა დასავლეთის მიმართ გაუცხოების ტენდენციები, რაც მათი ქმედებებით თუ უმოქმედობით არის გამოწვეული. თუ ასე გაგრძელდა, არ არის გამორიცხული, რომ საქართველომ მეგობრების თუ მფარველების ძებნა სხვაგან დაიწყოს.**

**„შეუჩვეველ ლხინს შეჩვეული ჭირი გერჩივნოსო“. — ესეც ქართველის ნათქვამია, ნუ გვაიძულებთ, რომ საქართველომ საკუთარი პერსპექტივის ძებნის ვექტორი შეცვალოს.**

**დავით მხეიძე**

**მომისმინეთ!**

*ყველას ბოდიშს გიხდით ჭკუის სწავლებისთვის. რა ვქნა, სხვანაირად არ შემიძლია. ჩვენ ყველანი ჭკუის კოლოფები ვართ. ოთხმოცდაათი წლის მამაჩემი ფიქრობს, რომ მასზე კარგად ქვეყანას ვერავინ უპატრონებს. ბატონი ედუარდი მასთან შედარებით ხომ „ბალანაა“, მაგრამ მას ჰკითხეთ, რა დღეს დაათენებდა! ბატონ შალვაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. რაც შემეხება მე, რას ფიქრობთ, ჩემზე უკეთესი ვინმე გყავთ? იქნებ მარტო გიორგი თარგამაძე და შეიძლება ის, ვინც ამის წინ მიტინგზე ყვიროდა — „მე ელიტა ვარო“. თარგამაძეს თურმე 25 წლისას დაუწყია შევარდნაძისთვის ჭკუის სწავლება, კიდე კარგი, რომ არ დაუჯერა შევარდნაძემ. წარმოგიდგენიათ, დღეს რომ კიდევ შევარდნაძე ყოფილიყო, რა დღეს დააყრიდა ხალხი თარგამაძეს?! ასე რომ, მეც ნამეტანს ნუ დამიჯერებთ, თუ არა, დიდხანს რომ შერჩეთ, ხალხი ჩემზე იყრის ჯავრს, შენ ასწავლე ჭკუაო! იმედია ოთხი მილიონი ჩემნაირი ჭკვიანი ქართველი იოლად გამიგებს. ჩვენ ჭკუის სწავლება ყველას შეგვიძლია, ჭკუის სწავლა კი ძალიან ცოტას.*

# ბატონი მიშას ფიქრები – ვიქნები ან... არ ვიქნები!

ბატონო პრეზიდენტო მიხეილ! მე მგონი, ბატონ პრეზიდენტ ედუარდისგან ერთი რამ მაგრად გისწავლიათ, როგორც მან არ იცოდა კადრების შერჩევა, თორემ თქვენ, ბურჯანაძეს და ცხონებულ ჟვანიას განა გნახავდათ? თქვენც ისევე კარგად ირჩევთ, როგორც ის ირჩევდა — ერთგულების იმედით და, ახალგაზრდები პირდაღებული მომისმენენო, თქვენც ისევე ფიქრობთ. არაობიექტური ვიქნები, რომ თქვენი სიახლე არ აღვნიშნო. თქვენი კადრები სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ და ხალხს ცოტა უჭირს მათი გაგება, დანარჩენ სხვაობას, ყველა შემთხვევაში, მე ვერა ვხედავ.

გამოვიდა, რომ ერთგული მთლად ერთგული არ ყოფილა, ან ყოფილა მანამ, სანამ მასთან (ან თქვენთანძ იყვნენ. როგორც თქვენ, ყველანი მოექეცით შევარდნაძეს, ისევე ყველანი გექცევიან თქვენ, როგორც კი გაათავისუფლებთ. გამოდის რომ თქვენი კი არა, სკამების ერთგულები არიან, მათ სკამები აჭმევენ, ასმევენ და ხანდახან მოპარვის საშუალებასაც აძლევენ, ასე არაა?

პირდაღებული რომ გისმენენ, ესეც კარგია, თუმცა მე სულ ცხონებული რაიკინი მახსენდება, ცოლებს რომ ირჩევდა — „хорошо, когда тебя слушают, таким умным себя чувствуешь!! день слушаеш, два месяца, а потом говоришь _ закрой рот дура, я все сказал“.

ამას იმიტომ კი არ ვწერ, რომ მინდა თქვენს შეცდომებს ხაზი გავუსვა ან ჩამოვთვალო. ამისთვის იქნებ მთელი გაზეთიც არ მეყოს. იმიტომ ვწერ, რომ, ღმერთმა დაგვიფაროს, წყალს წაჰყვეს ყველაფერი კარგი, რაც თქვენს დროს გაკეთდა. გავბედავ, შეგახსენოთ, რომ ნულიდან კარგის გაკეთება სულაც არ არის რთული. რთულია შემდეგ ახტე, ან მთლად კარგი — გაფრინდე. ათი და თხუთმეტი პროცენტი ეკონომიკის ზრდა, რითაც თქვენი მთავრობა ასე ამაყობდა, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი დიდი გაჭირვების მაჩვენებელია და მეტი არაფერი, თუ არ ვცდები, უკვე არა ერთი წელია, ორი პროცენტი ზრდა ევროპას ესიზმრება და ისინი, სხვათა შორის, ჩვენზე უკეთ ცხოვრობენ, თუმცა პროგნოზის თანახმად, 2009 წელს ჩვენც ორი პროცენტი გვექნება და თქვენს მთავრობას შეუძლია უფრო მეტადაც იამაყოს — ევროპას დავეწიეთო!

პირველი ნაბიჯები თქვენს წინა პრეზიდენტებსაც ძალიან კარგი ჰქონდათ და ხალხსაც მოსწონდა. რატომ ხდება რომ ბოლო 20 წელიწადია ჩვენ ყველა — გამსახურდია, შევარდნაძე, სააკაშვილი სულ ქუჩა-ქუჩა ყვირილით მოგვყავს სახელმწიფოს სათავეში და მერე ისევ ქუჩა-ქუჩა ყვირილით ვდევნით? ალბათ, იმიტომ, რომ გაგვდის. სხვა საკითხია რატომ. როცა თვითონ არ იყვნენ „ჩასვირლები“, დღევანდელი ხელისუფალნი ვისაც უნდოდათ, იმას იჭერდნენ შევარდნაძის სიძით დაწყებული მინისტრებით დამთავრებული. დღეს კი თავისი ხელითვე შექმნილ აბსოლუტურად კრიმინალურ ქალბატონებს და ვაჟბატონებს ელაქუცებიან და იგივე ხალხი, რომელიც ადრე ტაშს უკრავდა, მიშა-მიშაო ისევე გაიძახის მიშა-მიშას, ოღონდ უკვე — წადიო! ღმერთმა დამიფაროს, რომ დაჭერის კულტს ვღაღადებდე, მაგრამ ხომ ყველამ ვიცით, რა შედეგი მოაქვს თავხედობას და დაუსჯელობას. შეიძლება ვინმეს თავხედობამ დღეს ქვეყანა მიიყვანა ამ დონემდე, ისევე როგორც მეორის დაუსჯელობამ დღეს ის შეიძლება საერთოდ დაანგრიოს.



ისე, ჩვენ, როგორც ბაბუა ლენინმა თქვა, თუ მართლა „гнилая интелигенция“ არ ვართ და როგორც ბატონმა მიშამ ბრძანა „ჩარეცხილებიო“, მაშინ რატომ ავყაყანდით ყველა ერთად? სანამ ხელისუფალნი ჩვენსავით არ „ჩაირეცხნენ“ გასუსულები ვიყავით და როცა ჩვენ დაგვემსგავსა, იცოცხლე! ამოვიღეთ ხმა, არ ვიცით თქვენ როგორ და მე ნამდვილად არ მინდა ხელისუფლება, რომელსაც ჩემი არც დასჯა შეუძლია და არც დაცვა.

ეჰ, მიშა, მიშა, სირცხვილი თქვენ, ჩვენ რომ ასე აგვაყაყანე, არ ვიცი, რას აპირებთ, მაგრამ ისე ნუ იზამთ, რომ რომელიმე თქვენი ყოფილი თანაგუნდელი მოვიდეს სახელმწიფოს სათავეში და ისეც ნუ იზამთ, რომ ვინმე რუსთან ჩახუტების მსურველი გვაჩუქოთ.

სხვათა შორის, თქვენი რჩეული კადრები ისეთი ერთგულები თუ არიან, როგორიც ბურჯანაძე, ნოღაიდელი, ოქრუაშვილი, კიწმარიშვილი და სხვები იყვნენ, ხომ არ აჯობებდა, რომ ერთგულების გარდა რაიმე სხვა პრინციპით ეძებოთ კადრები? ენების ცოდნაც ძალიან კარგია, მაგრამ არა მგონია, რომ მათ ეს სჭირდებოდეთ მთავრობის სხდომაზე და ენები სხვათა შორის ყველაზე კარგად თარჯიმნებმა იციან. არ მჯერა, რომ თქვენი კადრები, თბილისიდან დაწყებული ადიგენითა და ხულოთი დამთავრებული, ქვეყანას გადაარჩენენ! იქნებ, თქვენ კი ხედავთ, მარა, მე ამ 4.5 მილიარდი ევროს გარდა, რაც ევროპამ გადაგვიხადა, როცა ჩვენი მიწები იყიდა და რუსეთს საჩუქრად მიართვა, ქვეყნის გადასარჩენად უახლეს მომავალში ვერაფერს ვხედავ, ვერც თქვენთან და ვერც თქვენს შემდეგ. ახტომით ძე ავხტე იქნება, მაგრამ ფრენით ვერ ვფრენ და ვერ დავინახე. ისე არ გიფიქრიათ? იქნებ ბევრი თქვენი უსუსური და ტვინგადაბრუნებული კადრების გამო იძახის ხალხი მიშა-მიშაო და თვლის, რომ ყველა მათი უბედურების მიზეზი თქვენ ხართ?

ჰოდა, კიდევ გავბედავ და გაგახსენებთ (არ ვიცი, რით დამთავრდება ჩემი ასეთი გამბედაობაძ თქვენი ერთი დიდი თანამემამულის ნათქვამს — „кадры решают все“, მისგან ბატონ ედუარდს და თქვენ ეს ერთი საქმე რომ გესწავლათ (სხვა ღმერთმა დაგვიფაროსძ დღეს აყვავებულ ქვეყანაში ვიცხოვრებდით. ისე იმედი ჯერ კიდევ გვაქვს. ამ ბოლო დროს, ძალიან ბევრს გვპირდებით. განსაკუთრებით ორმოცდაათთვიანი პროგრამა მომწონს. არ ვიცოდი, თუ მოსავლის მოყვანის ერთი ციკლის დამთავრებას 50 თვე სჭირდებოდა, მაგრამ სწავლა სიბერემდეაო, ხომ გაგიგონიათ?! ისე, 50 თვის შემდეგ იქნებ არც ვირი იყოს და არც ვირის პატრონი.

ერთი წელი ვეწვალე, რომ მამაჩემი და ორი-სამი მეზობელი თქვენს მხარეს გადმომებირებინა, ახლა კი ყველამ ერთი ფეხი თქვენგან სადღაც სხვაგან გადავდგით. ისე გაგიმართლათ, ერთიანობა როგორც ოპოზიციას, არც ჩვენ არ გვაქვს. ყველა „მისდა-მისდა“ მივდივართ. ერთი წლის წინათ ვერც კი წარმოვიდგენდი რომ ოპოზიციის მხარეს გავიხედავდი. დღეს კი იმას ვფქრობ, ვის ჩავეხუტომეთქი. რამენაირად ნუ დაგვკარგავ, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ჯერ კიდევ სხვას გვირჩევნიხართ, უჩვენოდ დიდხანს ვერ გაძლებთ. წინ კიდევ ბევრი 7 ნოემბერი, 9 აპრილი, 26 მაისი და, არაა გამორიცხული, სახიფათო ყოველი დღე გელით, ჩვენთან ერთად კი იქნებ რაიმე კარგიც გააკეთოთ და გაარემონტოთ ქვეყანა, რომ გადაარჩენთ, ამის იმედი ნუ გექნებათ, სჯობს ყველა იმას შევეჭიდოთ, რაც შეგვიძლია...

ვერავინ ვერ დამარწმუნებს, რომ გამსახურდიას ან შევარდნაძეს ქვეყნისთვის ცუდი უნდოდა, მაგრამ გამოვიდა ის, რაც გამოვიდა. ძალიან არ მინდა, რომ თქვენც ისე დაგემართოთ, უფრო სწორად, სულ არ მაწუხებს, რა დაგემართებათ თქვენ და თქვენს მინისტრებს, არ მინდა, რომ მე რამე დამემართოს. არ მინდა, რომ თქვენი წყალობით ნაპოვნი სინათლე, ისევე თქვენი წყალობითვე დავკარგო და კვლავ ვიცხოვრო ყოველი გაგებით ბნელ ქვეყანაში.

არ ვიცი, რამდენად მეყო ჭკუა იმის სათქმელად, რაც მინდოდა. ვეცდები ერთზე მაინც მეყოს და პრეზიდენტს ვუსურვებდი ამ დღიდან, რაიკინის არ იყოს, „ცოლების“ წარმატებულ არჩევანს, სხვანაირად არც მას და, ჯანდაბა, ბოლოს და ბოლოს, მე და ჩემს მეზობლებს — ქვეყანას არაფერი არ ეშველება რამდენი ფულიც არ უნდა გვქონდეს.

**თემურ კილაძე,**
**ქიმიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი**

**მკვახე შეკახილი!**

# შენც მიშისტი ხარ, მწერალო?!

***ისე, საინტერესოა, ბატონო ანზორ, თქვენი საზომით, „ვარდების რევოლუციის“ „მოსაყვანად“ რამდენი სტადიონის გამვსები ხალხი ჩამოიყვანა სააკაშვილმა წალენჯიხიდან და, საერთოდ, რამდენი კაცი იდგა მაშინ პარლამენტის წინ?***

**ფრიად პოპულარულ და მრავალრიცხოვანი მკითხველის საყვარელ გაზეთ „ასავალ-დასავალში“ ამას წინათ წავიკითხე მწერალ ანზორ გვარამიას მიერ გაზეთ „ვერსიაში“ გამოქვეყნებული სტატიიდან თუ ინტერვიუდან „საყურადღებო“ ამონარიდი. აი ისიც: „ოპოზიციას, როგორც ეს 26 მაისს გაირკვა, ერთი სტადიონი უჭერს მხარს, მაგრამ საქართველოს მოსახლეობა 5 მილიონამდეა, რაც 500 სტადიონს მაინც იტევს“.**

მორჩა და გათავდა, ბატონმა ანზორმა დიაგნოზი დასვა და ამ ვაიხელისუფლების წისქვილს წყალი მიუქშუილა, მწერლურად განაცხადა, მიშა მაგარიაო, ჰოდა, შეიძლება ზოგ-ზოგები გაბრიყვდნენ კიდეც.

არ ვიცი, იმ სტატიაში სხვა რა „მარგალიტები“ ჩააფრქვია, არც ის ვიცი (და ვწუხვარძ, რომელ დარგში უფრო მოღვაწეობს...

ბატონო ანზორ, როგორც ეტყობა, თქვენც „რუსთავი-2“-ის ინფორმაციით იკვებებით და საზრდოობთ, თორემ იქ 50 კი არა, ასი ათასი კაცი იდგა, მეც იქ ვიყავი და ვნახე საოცრება, იქ მოვიდა საქართველოს ნაღები. მეცნიერი თუ რიგითი მუშა, მწერლებიც მრავლად იყვნენ, ერის რჩეული შვილები. მარტო ზუგდიდელი ნონა გაფრინდაშვილის სახელიც კმარა, ეს მართლაც ერის საამაყო შვილი, თორემ სხვა გამოჩენილთა სახელები რომ ჩამოვთვალო, ვინც სამშობლოს ტკივილმა იქ მოიყვანა, ამას რა გაზეთები ეყოფა.

ვერავითარი კალამი, ვერავითარი მწერლობა, ვერავითარი ტელევიზია ვერ გადმოსცემდა იმას, რაც იმ დღეს იქ ხდებოდა. ჩემს გვერდით ერთი ჭარმაგი, კეთილშობილი კაცი ბავშვივით ტიროდა, თურმე კიდევ ვყოფილვართ ქართველები, არ გადავშენებულვართო, არადა, ამ ხელისუფლების ხელში სიცოცხლე აღარ მინდოდა, დღეს ხელახლა დავიბადეო.

არა მგონია, იმ კაცის სატკივარი გაიგოთ და გულთან მიიტანოთ, ბატონო მწერალო.

იქნებ არ ღირდა იმ გამონათქვამს გამოვკიდებოდი, ალბათ ასეც იქნებოდა, მაგრამ თქენს სახელსა და გვარს ქვემოთ მწერალიო რომ ეწერა, ამან შემაშფოთა. რიგითმა მკითხველმა შეიძლება იფიქროს, მწერლებიც ამ არაეროვნულ, თავისი ხალხის მოძულე ხელისუფლებას ემხრობიანო. არადა, რაღაც ძაფი თუ უმცირესი ნერვი მეც მაკავშირებს მწერლობასთან, ესეც რომ არა, ჩვენი თაობის მედროშე, მებაირახტრე ხომ მწერლობა იყო, ამ მთავრობამ რომ მოსვლის დღიდანვე აითვალისწუნა, მწერლებს სახლი გაუყიდა, ხელ-ფეხი შეუკრა და ბოლოს „ჩარეცხილებს“ მიაყოლა.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ და ვადასტურებ: ქართველი მწერლები, როგორც ოდითგან, ახლაც დგანან და იდგებიან მშობელი ერის სამსახურში.

თუ გინდა დარწმუნდეთ, მობრძანდით ნებისმიერ მიტინგზე, რომელიც უკვე მესამე თვეა, რაც ბობოქრობს ჩვენს დედაქალაქში. თუმცა იმ ხალხმრავლობაში მართლაც ძნელია ნაცნობის პოვნა და მაინც იქ მათ შეხვდები. ასე რომ, ბატონო ანზორ, საბედნიეროდ, ქართველი მწერლები თქვენი არშინით არ ჭრიან და კერავენ.

დაბოლოს, მწერალი თუ ხართ, ღვთიური ნიჭით მადლცხებული, ერის ჭირ-ვარამის გამზიარებელი, ისიც უნდა იცოდეთ, რომ 1989 წლის აღწერით საქართველოში 5 მილიონ 664 ათასი კაცი ცხოვრობდა. ქართველობა ზეობდა აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, მრავალშვილიანობა გამორჩეულად ფასობდა... მერე რაც მოხდა, ამის გამეორება მიმძიმს და უზომოდაც მტკივა.

ანტიეროვნული ხელისუფლების წყალობით საქართველოდან წავიდა ორი მილიონი, დიახ ორი მილიონი ადამიანი. ძირითადად ქართველობა. რა თქმა უნდა, სხვა ეროვნების ადამიანებიც. ამას დიდი სიკვდილიანობაც დაემატა, რომელმაც დიდი ხანია შობადობას გადააჭარბა, თორემ მართლაც 500 სტადიონის გამვსები რომ ვიყოთ (თუნდაც თქვენი საზომით ამ ხელისუფალთა მგავსად რომ გაანახევრეთ, სტადიონზე მოსულთა რაოდენობაძ, მათი ერთად ამოქშენა ააორთქლებდა ქართველი ერის დაუძინებელ მტერ ხელისუფალთ.

**გივი ჯახუა**

***P. S.* *ვწუხვარ, რომ გაზეთ „ასავალ-დასავლის“ საშუალებით ვერ ვახერხებ შეპასუხებას. სამაგიეროდ ჩვენს გაზეთსაც საკმაოდ მრავალრიცხოვანი მკითხველი ჰყავს, თანაც ნაღდი მამულიშვილები, ერის გულშემატკივარნი, და აქედან კარგად გაგიცნობენ, თუ ჩემსავით დღემდე არ გიცნობდნენ.***

***გ. ჯ.***

მიმართვა

# კონსტიტუციის რეფორმირებაზე ზრუნვა შინაური მტრებისგან საქართველოს განთავისუფლების შემდეგ უნდა დაიწყოს

## „თავისუფალი აზრის სახლთან“ არსებულ საზოგადოებრივ საკონსტიტუციო კომისიას

**2005 წლიდან დღემდე, პრესის ფურცლებიდან და „კავკასიის“ ტელეარხიდან, მრავალგზის მოვითხოვდი, რათა ხელისუფლებას უარი ეთქვა 2004 წლის 6 თებერვლის იმ ხუთ საკონსტიტუციო ცვლილებაზე, რაც ვენეციის საკონსტიტუციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ევროპის საპარლამენტო ასამბლეამ დაგმო როგორც „ანტიდემოკრატიული, რადგან ყველა ერთად აღებულმა ცვლილებამ პრეზიდენტს განუზომელი ძალაუფლება მიანიჭა.“**

კერძოდ, სააკაშვილმა: 1. პროკურატურა მართლმსაჯულების სისტემიდან გამოიყვანა და თვითონ დაიქვემდებარა; 2. მიითვისა მოსამართლეთა დანიშვნის და განთავისუფლების ექსკლუზიური, შემდეგ კი მათი წარდგენის უფლება; 3. გააერთიანა უშიშროების და შინაგან საქმეთა სამინისტროები და მათზე პირდაპირი კონტროლის უფლება მიითვისა; 4. პარლამენტის უფლებამოსილების შეზღუდვის ხარჯზე თავისი უფლებამოსილება გაზარდა; 5. შეზღუდა აჭარის ავტონომიური ერთეულის უფლებამოსილება და შესაბამისად გაზარდა პრეზიდენტის უფლებამოსილება.

არადა, ჯერ კიდევ 2005 წლის 23 იანვარს გაზეთ **„რეზონანსში“** ამ თემასთან დაკავშირებით დაიბეჭდა ჩემი პირველი სტატია სათაურით **„ფრთხილად ქართველნო, ჩვენ 30-იან წლებში გვაბრუნებენ“**. ჩემი გაფრთხილება არავინ ყურად არ იღო და მივიღეთ ის, რაც მივიღეთ: ზურაბ ჟვანიას, გურამ შარაძის, ახალგაზრდების მკვლელობათა მთელი სერია, ერისთვის საარსებოდ მნიშვნელოვანი სტრატეგიული ობიექტების რუსეთისთვის მიყიდვა, მოქალაქეთა კერძო საკუთრების ყაჩაღური მიტაცება, 7 ნოემბერი, 5 იანვარი, 21 მაისი, და აპოგეა – 7 აგვისტო, რის შემდეგ, თანაც მესამე დღეს, კაპიტულაციაზე ხელმოწერით რუსეთს დე იურედ ჩაბარდა საქართველოს ტერიტორიის მეოთხედი. და ამის შემდეგ, სააკაშვილი აცხადებს, რომ საქართველოში ყველაფერი წესრიგშია. მე აბსოლუტურად ვეთანხმები მას, ერთი დათქმით: **საქართველოში მართლაც ყველაფერი წესრიგშია ქართველი ერის შინაური და გარეული ტრადიციული მტრებისთვის** (სააკაშვილის სილაჩრის გამო რუსეთი მომავალში სავაჭროდ ახალ და ახალ მიწას ჩამოგვაჭრის! აზრზე მოდით, ხალხოძ.

ამიტომ იყო, რომ 4 ივნისს, ტელეარხ „კავკასიის“ ეთერიდან კატეგორიულად განვაცხადე: ვენეციის საკონსტიტუციო კომისიის დასკვნის საფუძველზე ევროპის საპარლამენტო ასამბლეის მიერ დაგმობილი 5 საკონსტიტუციო ცვლილების გაუქმებას – კონსტიტუციის რეფორმირება, 70-კაციანი საკონსტიტუციო კომისიის და 30-კაციანი ექსპერტთა საბჭოს შექმნა არ სჭირდება. საკმარისია პარლამენტის ნახევარდღიანი სხდომა, რომ გაუქმდეს 1995 წლის კონსტიტუციაში შეტანილი 5 ცვლილება.

ამიტომ, კონსტიტუციის რეფორმირების იდეა ბლეფია იმიტომ, რომ შეფარულად გათვლილია ამ კრიმინალური რეჟიმის სიცოცხლის გახანგრძლივებაზე, და აფხაზეთის და შიდა ქართლის რუსეთისათვის დე იურედ დათმობის ვუალირებისკენ, რისი ხელშემწყობი ამჟამად ავთანდილ დემეტრაშვილია და თავის დროზე ლევან ალექსიძე იყო.

ამიტომ, საზოგადოებრივი საკონსტიტუციო კომისიის საინიციატივო ჯგუფს მივმართავ:

ზრუნვა კონსტიტუციის სტაბილურობისთვის ერის და მისი ხელისუფლების სტაბილურობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტიაა. ეს არის მსოფლიოში სახელმწიფოთა ტრადიციით და მრავალსაუკუნოვანი პრაქტიკით აპრობირებული პრინციპი. ამიტომ, 1995 წლის კონსტიტუციის აღდგენა ევროპის საპარლამენტო ასამბლეის მიერ მითითებულ ხუთ პარამეტრში, როგორც პრეცედენტი მომავალში, მოახდენს კონსტიტუციისადმი უდიერი დამოკიდებულების პრევენციას, ანუ იმ უარყოფითი ტენდენციის აღკვეთას, რაც საქართველოში შეინიშნება: ყოველი ახალი ხელისუფლება თავის ტანზე კონსტიტუციას ჩოხასავით ირგებს.

თავად კონსტიტუციის სისტემაც კი ჰანს კელზენის და ადოლფ მერკლის პირამიდულ თეორიას უნდა დაექვემდებაროს. საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულას, პირველ და მეორე თავებს ხელი არ უნდა ვახლოთ და ამ წანამძღვრებიდან უნდა გაიშალოს სხვა თავები. სანიმუშოდ იხილეთ ჰანს კელზენის მიერ შედგენილი ავსტრიის 1920 წლის კონსტიტუცია. ცვლილებამ და დამატებამ მხოლოდ უნდა გაამდიდროს კონსტიტუცია. მოდით, ნუ ვეცდებით „ველოსიპედის გამოგონებას“!!!

მაგრამ, დღეს რეალობა სხვაა. 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ, როცა სააკაშვილის მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის გამო იგი გადადგა, საქართველოს დე იურე პრეზიდენტი არ ჰყავს, ისევე როგორც პარლამენტი, რადგან ეუთოს და საქართველოს ომბუდსმენის მიერ დადასტურებულია საპარლამენტო არჩევნების გაყალბება. ამრიგად, სახეზეა ტიპური სამართლებრივი ვაკუუმი, რომელსაც საქართველოს კონსიტუციის მე-5 მუხლის ძალით ხალხმა, როგორც ხელისუფლების წყარომ, უნდა შეავსოს. დღეს ხალხი უკეტავს ხელისუფლებას მკვებავ წყაროს და არა პოლიტიკური პარტიები, ხალხი უკვე გამოდის პოლიტიკურ ავანსცენაზე.

ამიტომ კონსტიტუციის რეფორმირებაზე ზრუნვა უნდა დაიწყოს შინაური მტრებისგან საქართველოს განთავისუფლების შემდეგ.

**ბიძინა სავანელი,**



**პროფესორი, სამართლის და საზოგადოების ევროპული ასოციაციის წევრი**

*მეტი ინფორმაცია: იხ. Google/Savaneli Bizina*

განსჯა

***პრეზიდენტ** სააკაშვილის მიერ ოპოზიციისთვის თანამდებობების შეთავაზების მიზეზებზე, იმაზე თუ, რატომ არ იმართება ხელისუფლება-ოპოზიციის მოლაპარაკებები მხარეების მიერ ერთმანეთისთვის წარდგენილი წინადადებების საფუძველზე, რა შედეგებით დასრულდა თბილისში აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის ფილიპ გორდონის ვიზიტი და რა მოლოდინი შეიძლება ჰქონდეს საქართველოს ობამა-მედვედევის მოსკოვში დაგეგმილი შეხვედრისგან, „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ ანდრო ბარნოვს ესაუბრა.*

# ანდრო ბარნოვი: ხელისუფლება ოპოზიციაში რეალური ერთიანობის არარსებობას ეფექტიანად იყენებს



**– ბატონო ანდრო, როგორ შეაფასებდით ოპოზიციისთვის პრეზიდენტის შეთავაზებას? ოპოზიციას ხელისუფლების შეთავაზება რომ მიეღო, განიმუხტებოდა თუ არა კრიზისული ვითარება, რომელშიც ქვეყანა უკვე ორთ თვეზე მეტი იმყოფება?**

– ხელისუფლების შეთავაზება იმ ტიპის იყო, წინასწარ შეგვეძლო გვევარაუდა, რომ ოპოზიცია არ დათანხმდებოდა. წარმოუდგენელია, ოპოზიცია დათანხმებოდა მინისტრის მოადგილის თანამდებობას ისეთ სტრუქტურაში, რომლის ხელმძღვანელების წინააღმდეგაც თავად იბრძვის.

ეს შეთავაზება იმაზე მიუთითებს, რომ ხელისუფლება ხვდება: ვითარების შესაცვლელად გარკვეული ნაბიჯების გადადგმა აუცილებელია. ხელისუფლებამ, როგორც იქნა, დაიწყო რუსთაველის გამზირის დასუფთავება, ორი თვის თავზე ბიოტუალეტებიც კი დადგა და რაღაც ტიპის შემხვედრი ნაბიჯების გადადგმა დაიწყო. ხელისუფლების ამ ნაბიჯებს მე გორდონის თბილისში ვიზიტისგან ცალკე ვერ განვიხილავ. ხელისუფლებას სჭირდება ისეთი სურათის დახატვა, რომ მზად არის თანამშრომლობისთვის.

ვწუხვარ, რომ ეს იყო ისეთი შეთავაზებები, რასაც ოპოზიცია ვერ დათანხმდებოდა. შესაბამისად, ვითარების განმუხტვისკენ სვლა ასე ვერ დაიწყება, მაგრამ ტენდენცია, რომ პროცესი ამ მიმართულებით უნდა წავიდეს, შეინიშნება. აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე შეხვდა ოპოზიციის ლიდერებს და სამი ლიდერი ამერიკაში მიიწვია. ამის ფონზე, ხელისუფლება ცდილობს, ოპოზიციასთან თანამშრომლობის რეჟიმში იყოს, რაც ნიშნავს, რომ დღეს და ხვალ თუ არა, ხელისუფლება მალე უფრო მეტ შემხვედრ ნაბიჯებს გადადგამს და პოზიციები დაახლოვდება. შეიძლება ითქვას, რომ კრიზისის დაძლევისკენ პროცესის დაწყება მოსალოდნელია.

**– როგორ აისახება ეს პროცესი ოპოზიციაში ძალთა გადაჯგუფებაზე და გაგრძელდება თუ არა მოლაპარაკებები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის?**

– ოპოზიციისთვის გამოსავალია ერთ ლიდერზე შეჯერება. მათ შორის შეთანხმება უნდა მოხდეს და ლიდერებმა თავიანთი ამბიციები უნდა დათმონ. ოპოზიციაში აღარ უნდა იყოს ხელების გადაგრეხვა, რასაც ადგილი რამდენჯერმე ჰქონდა. ამას არც საპროტესტო მოძრაობისთვის და არც ლიდერებისთვის კარგი შედეგი არ მოუტანია.

ვიდრე ოპოზიცია ერთ ლიდერზე ვერ შეთანხმდება, ეჭვი მეპარება, რომ ოპოზიციამ შეძლოს რეალური წარმატების მიღწევა. თუ ყველა ერთ ლიდერზე ვერ შეთანხმდება, უნდა გამოცალკევდეს ერთი ჯგუფი, რომელიც ერთ ლიდერზე შეთანხმდება და შემდეგ ერთი ხმით ილაპარაკებს, როგორც პრობლემებზე, ისე მოთხოვნებზე და გამოსავლის გზების შესახებაც. ამის გარეშე ოპოზიცია მხარდაჭერას ვერ მიაღწევს, ვერც საგარეო ასპარეზზე და ვერც ქვეყნის შიგნით.

**– თქვენი აზრით, რატომ არ იწყება ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები იმ საკითხებზე, რომელიც ხელისუფლებამ ოპოზიციას 5-პუნქტიანი წინადადებების სახით წარუდგინა, ხოლო შემდეგ ოპოზიციისგან ექვსპუნქტიანი კონტრწინადადება მიიღო?**

– ვფიქრობ, რომ ხელისუფლება თავის რესურსს და ოპოზიციაში რეალური ერთიანობის არარსებობას მაქსიმალურად ეფექტიანად იყენებს. ეს განსაკუთრებით იგრძნობა პარლამენტსგარეთ მყოფი ოპოზიციის ფასადური რადიკალიზმის საკითხში. ოპოზიციაში ცალკეულ პოლიტიკოსებს უნდათ არა სიტუაციის შეცვლა ქვეყანაში, არამედ ის, რომ თავად იყვნენ ხელისუფლების სათავეში. ეს არის ოპოზიციის სისუსტე და ამიტომაც ვამბობ, რომ ვიდრე ოპოზიციაში გაერთიანებული ყველა ძალა ან ჯგუფი ერთ ლიდერზე არ შეჯერდება, ოპოზიცია წარმატებას ვერ მიაღწევს. ბოლოს და ბოლოს, ოპოზიციიდან უნდა მოხდეს იმ ჯგუფების გარიყვა, რომელსაც თავისი თავის გარდა არაფერი არ აღელვებს.

**– როგორ შეაფასებდით აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილის ფილიპ გორდონის ვიზიტს თბილისში? უდავოა, რომ საქართველოსთან დაკავშირებით ბევრი რამ ობამა-მედვედევის მოსკოვში დაგეგმილ ვიზიტზეა დამოკიდებული, მაგრამ ამ ეტაპზე ჩვენ გვაქვს თუ არა ოპტიმიზმის საფუძველი?**

– მე მგონია, დამთავრდა ან მთავრდება ის პერიოდი, როცა აშშ-ს ახალი ადმინისტრაცია ბევრ საკითხში ბოლომდე არ იყო ჩამოყალიბებული. ვფიქრობ, დადგა დრო, როცა ობამას ადმინისტრაციამ კავკასიისთვის მოიცალა. ამის შემდეგ ჩვენ თვისობრივად განსხვავებულ სურათს დავინახავთ.

ვაშინგტონში გაკეთებული განცხადებები იმის შესახებ, რომ აშშ ყველაფერს გააკეთებს, რათა რუსეთი საქართველოს საკითხში დაიყოლიოს, ჰაერზე არ კეთდება. ჩემი აზრით, ვაშინგტონის იმედები მათ მიერ რუსეთთან დაკავშირებით შემუშავებულ გეგმებს უკავშირდება.

მთავარია, გამოიკვეთა პოზიცია აფხაზეთში გაეროს მისიის ნებისმიერ ფასად შენარჩუნების დაუშვებლობის შესახებ. ასევე ის, რომ აშშ ბოლომდე მხარს დაუჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას და იმუშავებს თავის პარტნიორებთან, რომ ამ საკითხს საფრთხე არ დაემუქროს. ასევე, საუბარია იმაზე, რომ აშშ-საქართველოს შორის ხელმოწერილი ქარტია კონკრეტულ გეგმებში უნდა აისახოს. ამ საკითხების აქტუალიზაცია იმაზე მიანიშნებს, რომ საგარეო პოლიტიკაში აშშ-ს ერთწლიანი გაურკვევლობის პერიოდი დასრულდა და ჩვენ ცოტა ხანში ამოსუნთქვის ოდნავ მეტი საშუალება გვექნება.

**კობა ბენდელიანი**

ცრუ პერსპექტივა

***წინასწარ ვიცი, მთავრობის გაზარმაცების მორიგი შანსით ქვეყანა როგორ გაიხარებს. მართლაც, ამდენი ჭაპანწყვეტის შემდეგ ცოტა წაზარმაცება, ანუ, როგორც გლეხები იტყვიან, ჩრდილში წამოგორება და ამოქაქანება ხელისუფლებას დედის რძესავით შეერგება. ხალხს არაფერი შეეშლება, მან მშვენივრად იცის, რომ ამ გაჭიაყელავებული მასობრივი საპროტესტო აქციების პერიოდშიც კი მთავრობა ბოროტად არ ისარგებლებს „ტაიმაუტით“ და ქვეყანაში საკუთარი ხელით გათხრილ „ეკონომიკის ორმოებს“ თუ ვერ ამოავსებს, ყოველ შემთხვევაში, გააღრმავებს და გაანოყიერებს მაინც.***

# ფრთხილად, ხაფანგში არ გაებათ!



## მთავრობას გაზარმაცების კიდევ ერთი შანსი ეძლევა

თუმცა, ვიდრე მთავრობის სამომავლო საზარმაცო პერიპეტიებს შევეხებოდეთ, ალბათ, უპრიანი იქნება, ჯერ იმ ხაფანგს შევავლოთ თვალი, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლება „ფინანსური ლოქოს“ მოხელთებას აპირებს. თუ მის არცთუ შორეულ გამოცდილებას გავითვალისწინებთ, კერძოდ, გავიხსენებთ იმ 500-მილიონიან „ოქროს ობლიგაციებს“, რომელიც მაშინდელმა პრემიერმა ლადო გურგენიძემ ისედაც გაყვლეფილ ქვეყანას ვალად წამოჰკიდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მთავრობას ახალი სესხების აღების ხარჯზე მსხვილმსხვილი ღლავების ჭერა არც ამჯერად გაუჭირდება.

ისე, კაცმა რომ თქვას, მაშინდელ მთავრობას, ახლანდელთან შედარებით, რომ იტყვიან, თავი ქუდში ჰქონდა — არც ბიუჯეტში იყო გარღვევა (პირიქით, ბიუჯეტი პროფიციტური იყოძ და ინვესტორებიც გაღმადიდან მოფრენილი ბუზებივით ესეოდა. ამას არ საყვედურობდნენ? — შე მამაცხონებულო, თუ პროფიციტური ბიუჯეტი გაქვს და არ იცი შემოსავლები სად წაიღო, რა ობლიგაციების გამოშვება აგიტყდაო? არაო, ქვა ააგდო და თავი შეუშვირა მაშინ გურგენიძემ, ამ ფულით, რაც ობლიგაციებიდან შემოვა, სასწრაფოდ გაზსაცავი უნდა ავაშენოთ, რათა ქვეყანა რუსეთის საფრთხისგან დაცული იყოსო. ობლიგაციები მართლაც გაიყიდა ლონდონის ბირჟაზე, 500-მილიონიანი ვალიც ვალად შერჩა ქვეყანას, აი გაზსაცავი კი აირივით აორთქლდა. ოპოზიციამ ხან გაღმიდან უკრაჭუნა კბილები ხელისუფლებას, ხან გამოღმიდან, მაგრამ ვერც გაზსაცავს მიაგნო და ვერც იმ ნახევარ მილიარდს, რომელიც ლონდონიდან საქართველოში ლაინერივით შემოფრინდა და ვილაცის განიერ ჯიბეში დაივანა.

მაშინ ხომ ააშენეს გაზსაცავი და ამჯერად რილას აშენებას აპირებენ? ამჯერად თურმე აშენებას კი არა, ბიუჯეტის გაზრდას ლამობენ. მართალია მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ქვეყნის ეკონომიკის გაზრდა შეაფერხა, შეწყდა ინვესტიციები, რასაც ზედ დაერთო მასობრივი საპროტესტო გამოსვლები და შიდა პოლიტიკური არასტაბილურობა, მაგრამ მთავრობა რის მთავრობაა თუ ამ სიძნელეებს შეუშინდება და ქვეყანას დასამშევად გაიმეტებს! არა, ბატონებო, მთავრობა მზად არის 2009 წლის ბიუჯეტში ცვლილებები შეიტანოს, სახელმწიფო ბიუჯეტი შემცირების ნაცვლად 312 მილიონი ლარით გაზარდოს, ხოლო ბიუჯეტის მთლიანმა რაოდენობამ 7,168 მილიარდ ლარს მიაღწიოს.

„ვმუშაობთ ახალ ბიუჯეტზე, რომელიც გაიზრდება, მიუხედავად იმისა, რომ გვაქვს ცვლილებები და შემცირება საგადასახადო შემოსავლებში“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა ნიკა გილაურმა. მაგრამ რის ხარჯზე გაიზრდება? იქნებ საერთაშორისო დონორებისგან მიღებული გრანტებისა და კრედიტების იმედით ლაპარაკობენ? არაო, მარტო ეს არ გვეყოფაო, განმარტავენ, ამიტომ ინიციატივას გამოვიჩენთ, ახალ სესხს ავიღებთ და ქვეყნის დაძაბუნებულ ეკონომიკას ამით გავამაგრებთო.

მაგრამ ამ საყოველთაო კრიზისის ჟამს, როცა ყველას საკუთარი თავი გასჭირვებია, ვის უნდა მიაღგნენ ფულის სასესხებლად? თურმე საკუთარი ქვეყნის კომერციულ ბანკებს, რომელთაც ხელისუფალთა აზრით, ფული ჭარბად აქვთ, მაგრამ სესხების გაცემა უჭირთ, რადგან რისკისა ეშინიათ. ჰოდა, შეშინებული ბანკირები იმაზე უკეთეს და პირიან მსესხებელს სად იშოვნიან, ვიდრე სახელმწიფოა? ასეთი ურთიერთდამაზღვეველი გარანტიებით ცალკე ქვეყანა დარჩება მოგებული და ცალკე კიდევ კომერციული ბანკები, რომლებიც საპროცენტო სარგებელს მიიღებენ.

მთავრობის ახალი ინიციატივის კონკრეტიკა ასეთია: სახელმწიფო გამოუშვებს 250 მილიონი ლარის ობლიგაციებს, რომელიც ამჯერად ლონდონის ბირჟაზე კი არა, ადგილობრივ ბაზარზე გაიყიდება და მას კომერციული ბანკები შეიძენენ. შემოსული თანხები სად წავა? ეს ფული ქვეყნის ეკონომიკის სტიმულირებას და სოციალური პროექტების დაფინანსებას მოხმარდებაო, — გვარწმუნებენ ხელისუფლების მაღლჩინოსნები.

ობლიგაციები აუქციონზე გაიყიდება, რომელშიც მონაწილეობის უფლება აქვთ პირველად დილერ ბანკებს, კომერციულ ბანკებსა და მათი მეშვეობით — რეზიდენტ და არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს. ობლიგაციებს ბანკები, როგორც უკვე ვთქვით, საპროცენტო სარგებლით (18-პროცენტიანი განაკვეთითძ იქნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავრობამ მომავალში ბანკებს ფული პროცენტით უნდა დაუბრუნოს.

მაგრამ დაუბრუნებს კი? პირობა, როგორც სჩვევია ჩვენს ნებიერა მთავრობას, ორჭოფულია: სახელმწიფოს თუ ფული ექნება სამომავლოდ, ფასიან ქაღალდებს გაუნაღდებს, ხოლო თუ ბიუჯეტი კვლავ დეფიციტური იქნება, მორიგ ობლიგაციებს გამოუშვებს, რომლითაც ძველ ვალებს დაფარავს, ახალს კი გადაავადებს და ასე გაგრძელდება მუდმივად... ამ ხელისუფლების მარილზე გასვლამდე. და ალბათ შემდეგაც, როცა ახალ ხელისუფლებას ამათი ხელგაშლილი სასესხებლო პოლიტიკის გამო უმძიმესი მდგომარეობა დახვდება.

აქედან გამომდინარე, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ეკონომიკის ექსპერტები მთავრობის იმ ეგრეთ წოდებულ „ექსპერიმენტს“ სულაც არ მიიჩნევენ სიახლედ (მას წინა ხელისუფლებაც წარმატებით იყენებდა საკუთარი ჯიბის გასასქელებლადძ და ფიქრობენ, რომ ის შეიძლება ერთგვარ ხაფანგადაც გამოდგეს კომერციული ბანკების „შესაბმელად“, მათი აზრით, ფასიანი ქაღალდების გამოშვება მხოლოდ ამ შემთხვევაშია გამართლებული, როცა ბანკებს ჭარბი ლიკვიდურობა აქვთ, ჩვენ ბანკებს კი ამჟამად, პირიქით, დახმარება სჭირდებათ და არა ფულის გამოძალვა, თუნდაც იმ მოტივით, რომ ეს ფული ბიუჯეტის დეფიციტის შევსებას და სოციალური პროექტების დაფინანსებას მოხმარდება. პრეზიდენტი სააკაშვილი კი ტრაბახობს, ჩვენს გარდა ბანკები ყველგან ჩამოიშალაო, მაგრამ არც ისეა საქმე როგორც საქართველოს ჩიტირეკია ხელისუფალთ სიზმარ-სიზმარ ელანდებათ — ფასიანი ქაღალდების რეალიზაცია საბანკო სისტემას, რომელიც როგორღაც თითქოს გამოძვრაო კრიზისიდან, მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს. ცნობილ მეცნიერსა და ექსპერტს ვლადიმერ პაპავას მიაჩნია, რომ ქვეყანაში შექმნილი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა ამით არ მოგვარდება, „კრიზისის გამო ბანკები ვერც ვალდებულებების აღების შემდეგ შეძლებენ კერძო სექტორის დაკრედიტებას, მაგრამ იმის საშიშროება კი შეიძლება გაჩნდეს, რომ ფინანსური პირამიდა დაგვემუქროს“.

ჩნდება იმის საშიშროებაც, რომ გაზრდილი საერთაშორისო დახმარების ფონზე, ბანკებისგან ნასესხებმა ფულმა შეიძლება ქვეყანაში ეკონომიკის გამოცოცხლების ნაცვლად მთავრობის გაზარმაცება გამოიწვიოს. ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურ მოუსავლეთში წასვლის წინ, საითკენაც შექმნილი რეალობა მას ძალუმად მიერეკება, არა მგონია ხელისუფლებამ ხალხის თვალში რეიტინგის ზრდის ეს უკანასკნელი შანსი ხელიდან გაუშვას.

**ოთარ ხუციშვილი**

ვინ — ვის...

# ახალი მაგისტრალის მშენებლობას მოწინააღმდეგეები გამოუჩნდნენ

**თბილისის მერიამ სულ ცოტა ხნის წინათ ახალი მაგისტრალის პროექტი წარმოადგინა, რომელიც ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მოძრაობის დარეგულირებას შეუწყობს ხელს, განტვირთავს გზებს და მოაგვარებს საცობების პრობლემას. ეს პროექტი ითვალისწინებს დამატებითი მაგისტრალის მშენებლობას გმირთა მოედნიდან ვაკის მიმართულებით. ახალი გზა მდინარე ვერეს გადაკვეთს. პროექტის განხორციელება უახლოეს მომავალში დაიწყება და ამისთვის ქალაქის ნახევარმილიარდიან ბიუჯეტში უკვე თანხაც გამოყოფილია.**



მიუხედავად ამ გზის საჭიროებისა, მის მშენებლობას ვაკის მცხოვრებლები აპროტესტებენ. მათ აქცია გამართეს „მზიურის“ ტერიტორიაზე. აქციას ოპოზიციური პარტიების წევრებიც შეუერთდნენ. ისინი აცხადებენ, რომ ახალი გზა გადაკვეთს „მზიურს“, რაც გამოიწვევს ამ ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის განადგურებას და ეკოლოგიური თვალსაზრისით ისედაც დაბინძურებული ქალაქი, უფრო მძიმე დღეში ჩავარდება, აღარ იარსებებს ადგილი ქალაქის ცენტრში, სადაც შესაძლებელი იქნება დასვენება და განტვირთვა.

კომენტარები აქციაზე მოსულმა ოპოზიციურმა პოლიტიკოსებმაც გააკეთეს.

**მამუკა კაციტაძე:** როგორც ჩანს ჩვენს ხელისუფლებას სხვა გასანადგურებელი არაფერი დარჩა და ახლა „მზიურს“ მიადგა. ეს „გრანდიოზული“ პროექტი ძალიან ცუდ შედეგს მოუტანს თბილისის, განსაკუთრებით ვაკისა და საბურთალოს მოსახლეობას, რადგან მოხდება მწვანე საფარის გაჩეხვა და აღარ იქნება „ფილტვები“, რომლითაც დედაქალაქი სუნთქავს. ჩვენ ამას არ დავუშვებთ და მომავალში უფრო მრავალრიცხოვან საპროტესტო აქციებს გავმართავთ.

**ირაკლი ბათიაშვილი:** მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ამ გზის მშენებლობის ალტერანტიული პროექტი, თბილისის მერიამ მიზანში მაინცდამაინც „მზიური“ და ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორია ამოიღო. ეს ყველაფერი კორუფციულ გარიგებას უფრო წააგავს, რადგან ახალი მაგისტრალის მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხების ნახევარზე მეტს საკუთარ ჯიბეებში წაიღებენ და უფრო მეტი ადგილი ექნებათ გასაყიდად უცხოელ ბიზნესმენებზე, როგორც სავაჭრო ფართობები.

**ლაშა ჩხარტიშვილი:** არავინ დავობს იმ საკითხზე, რომ ჭავჭავაძისა და პეკინის გამზირებს განტვირთვა ესაჭიროება, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ჩვენი სიმდიდრის განადგურების ხარჯზე. ხალხი, როგორც ყოველთვის, ცუდადაა ინფორმირებული და არ იცის რა საფრთხის წინაშე ვდგავართ. ახალმა გზამ უშუალოდ „მზიურის“ ტერიტორიაზე რომ არ გაიაროს და მას თავზე მოექცეს, ეს მაინც არ იქნება მიზანშეწონილი.

„მზიურის“ დირექტორმა **ქეთი დუმბაძემ** ასევე ხაზი გაუსვა ხელისუფლების კორუფციულ ინტერესს და აღნიშნა, რომ მათ „მზიურის“ გაყიდვა სურთ.

თბილისის მერიაში კატეგორიულად უარყოფენ ამ ბრალდებებს. კომენტარი აქციის შემდეგ თბილისის კეთილმოწყობის სამსახურის უფროსმა **გიორგი ლიპარტიამ** გააკეთა:

— პროექტი არანაირად არ ითვალისწინებს ქალაქში არსებული სიმწვანეებისა და რეკრეაციულ-დასასვენებელი ადგილების განადგურებას. ჩვენ არ ვეხებით არც „მზიურს“ და არც ზოოპარკს. მათ ვინც დაინტერესებულია, ვურჩევ მოიძიონ პროექტი და კარგად შეისწავლონ. არ შეიძლება ყველაფერი ვაპროტესტოთ და ჩვენი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად გამოვიყენოთ. გზის მშენებლობა ძალიან მალე დაიწყება და ჩვენს სიმართლეში აუცილებლად დარწმუნდებით.

ახალი გზის მშენებლობა ერთმნიშვნელოვნად გააკრიტიკა გარემოს დაცვის ყოფილმა მინისტრმა **ნინო ჩხობაძემ**.

ასეთი აჟიოტაჟი გამოიწვია ხელისუფლების ახალმა ინიციატივამ და ის ურთიერთბრალდებების ახალ მიზეზად იქცა. რომელი მხარე აღმოჩნდება მართალი, ამას დრო გვიჩვენებს.

**ანა წიწილაშვილი**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# გადავარჩინოთ სამშვიდობო მისია საქართველოში

**დროებითი ზავი, რითაც დამთავრდა შარშანდელი ომი რუსეთსა და საქართველოს შორის, ასე თუ ისე, ჯერჯერობით მუშაობს. მაგრამ რუსეთის ზეგავლენისა და დასავლეთის თვინიერების გამო ინგრევა სამშვიდობო სტრუქტურები.**

შარშან აგვისტოში მოსკოვმა და თბილისმა გამართეს ხანმოკლე, მაგრამ სისხლისმღვრელი ომი სამხრეთ ოსეთისთვის, რეგიონისთვის, რომლის მოსახლეობაც 50 ათასზე ნაკლებია და რომელიც მოსკოვმა აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, მთელი დანარჩენი მსოფლიო კი მას საქართველოს ნაწილად მიიჩნევს. მშვიდობის დამყარებაში მთავარი როლი შეასრულა ინტენსიურმა დიპლომატიურმა ძალისხმევამ. ევროკავშირის შუამავლობამ, რომლის თავმჯდომარეც იმ დროისთვის იყო საფრანგეთი, შეძლო აექულებინა რუსეთი, მოეწერა ხელი ხელშეკრულებისთვის დაზავების შესახებ.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დოკუმენტზე მელანი შეშრებოდა, მოსკოვი უკვე დემონსტრაციულად აცხადებდა უარს, შეესრულებინა ხელშეკრულების პირობები საბრძოლო მოქმედებათა შეწყვეტის შესახებ.

მან უბრალოდ უარი კი არ თქვა თავისი რამდენიმე ათასი ჯარისკაცის გაყვანის შესახებ, რომლებიც დამატებით გაგზავნა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში, არამედ კატეგორიულად აცხადებდა უარს საერთაშორისო მეთვალყურეობის დაშვების შესახებ ამ რეგიონებში. აპრილში რუსეთმა განაცხადა, რომ იგი აგზავნის კიდევ ჯარებს სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში — თითქოსდა იმისთვის, რომ იტრაბახოს მედვედევ-სარკოზის აგვისტოს შეთანხმების პირობების დაუცველობასთან დაკავშირებით.

ახლა მოსკოვმა მიზანში ამოიღო ერთადერთი დიდი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელსაც გავლენა აქვს საქართველოში — ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 56 მონაწილე ქვეყანას. ეუთოს წარმომადგენლები საქართველოში იმყოფებიან 15 წელზე მეტია, ისინი თვალყურს ადევნებდნენ არასტაბილურ რაიონებს სამხრეთ ოსეთში და მათ გარეუბნებს, ხელს უწყობენ კონფლიქტური სიტუაციების, მხარს უჭერენ უმცირესობის პრობლემების გადაჭრას, არ იშურებენ ძალისხმევას დემოკრატიისა და სამართლიანობის საფუძვლების ჩაყრისთვის, აკრიტიკებენ ფალსიფიკაციებს არჩევნების დროს. აგვისტოს ომამდე ეუთო ხელსაც უწყობდა პროექტებს ქართველებსა და ოსებს შორის ეკონომიკური ურთიერთობის აღდგენასთან დაკავშირებით.

გასულ თვეს ეუთოს მონაწილე ქვეყნები შეხვდნენ ერთმანეთს ვენაში საბერძნეთის მიერ მომზადებული ხელშეკრულების დასამუშავებლად საქართველოში მისიის გაგრძელების შესახებ. ეს იყო უკანასკნელი სტადია ძნელი



მოლაპარაკებისა, რომელსაც აწარმოებდნენ იანვრიდან. მაგრამ მოსკოვმა უარყო საბერძნეთის წინადადება, რომელიც ისედაც ძალიან გადააკეთეს მოსკოვის ინტერესების დაცვით. რუსეთმა არ მისცა საშუალება პროექტს, მიეღწია კენჭისყრამდე.

არის რამდენიმე სავარაუდო მიზეზი იმისა, თუ რატომ არ სურს მოსკოვს ეუთოს ყოფნა საქართველოში, სადაც ორგანიზაცია აწარმოებს თავის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და დიდმნიშვნელოვან მისიას.

შეიძლება მოსკოვს არ სურდეს, რომ მსოფლიომ დაინახოს, თუ რა ხდება სამხრეთ ოსეთში 8 თვის განმავლობაში რუსეთის შეიარაღებული საქმიანობით „გათავისუფლებისთვის“.

რუსეთის გიგანტურმა სამხედრო ძალებმა, ალბათ, ვერ შეძლეს შეეკავებინათ სამხრეთოსეთელი მოლაშქრეები და მათ თავიანთი სახლებიდან გამოდევნეს დაახლოებით 25 ათასი ეთნიკური ქართველი. ხშირად მოლაშქრეები წვავდნენ, ძარცვავდნენ და ზოგჯერ ბულდოზერითაც კი ასწორებდნენ მთელ სოფლებს, — რუსეთის ჯარები კი გვერდით იმყოფებოდნენ. ხდებოდა ამბები, რომლებსაც ორგანიზაციამ „ადამიანთა უფლებების დაცვა“ უწოდა „კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული“, ხოლო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მას „ეთნიკური წმენდა“ შეარქვა.

საქართველოში ეუთოს მისიის დახურვით რუსეთი აგრეთვე ხსნის ახალ ფრონტს თავის ხანგრძლივ დიპლომატიურ ღონისძიებაში მთლიანად ეუთოს ეფექტიანობის ჩაშლისთვის. 1975 წლიდან ორგანიზაცია მუშაობდა ევროპაში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის. მრავალი წლის განმავლობაში მოსკოვი უკმაყოფილო იყო იმით, რომ ეუთო კონცენტრირებას ახდენს ადამიანის უფლებათა, პრესის თავისუფლებისა და სამართლიანი არჩევნების პრობლემებზე. რუსეთმა გამოიყენა პოლიტიკური ინსტრუმენტები, რომლებიც ხელსაყრელი იყო მისთვის, როგორც ეუთოს მონაწილისთვის, რათა წინააღმდეგობა გაეწია ორგანიზაციის საქმიანობისთვის და შეეჩერებინა კიდეც მისი საქმიანობა. მაგალითად, მოსკოვი მრავალგზის ცდილობდა შეენელებინა ეუთოს ყოველწლიური ბიუჯეტის მიღება.

იმისთვის, რომ შექმნას ძლიერი მისია საქართველოს ტერიტორიაზე, ეუთოს დასჭირდა ათნახევარი წელიწადი. ეს იყო ერთ-ერთი იმ იშვიათი ინსტიტუტთაგანი, რომლებსაც ნამდვილად შეეძლოთ მხარი დაეჭირათ ერთგვარი სტაბილურობისთვის. ძირითადად ევროკავშირი და დასავლეთი მთლიანად თვალს ხუჭავდნენ რუსეთის მიერ დარღვევებზე თავისი ვალდებულებებისა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ, რომელიც მან იკისრა საფრანგეთის ლიდერის რეკომენდაციებითა და ძალისხმევით.

ამჟამად ეუთოს წევრი-ქვეყნების უდიდესმა უმრავლესობამ უნდა გააგებინოს რუსეთს, რომ არ მისცემენ საშუალებას ერთადერთ სახელმწიფოს, წინააღმდეგობა გაუწიოს ეუთოს როლის შემცირების მცდელობასთან დაკავშირებით.

დრო არ ითმენს, მაგრამ სანამ ჯერ კიდევ არ არის გვიან, უნდა გადავარჩინოთ ეუთოს მისია საქართველოში. მანდატს ვადა გასდის რამდენიმე კვირის შემდეგ, ასე რომ, ჯერ კიდევ არის დრო მისი გადარჩენისთვის — და იმ შემთხვევაში, თუ ქვეყნები იმოქმედებენ გადაჭრით. უწინარეს ყოვლისა, მისიას უნდა მიენიჭოს უფლება, გააგრძელოს თავისი საქმიანობა იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ამ მომენტისთვის აკონტროლებს თბილისი. ამის წინააღმდეგ მოსკოვს არ შეიძლება გაუჩნდეს სერიოზული წინააღმდეგობა. თუ საქართველო ჯერ კიდევ არ არის ასეთი სტაბილური, როგორც ამას მოსკოვი ამტკიცებს, მაშინ არ შეიძლება გვქონდეს მყარი არგუმენტები იმის წინააღმდეგ, რათა ეუთოს მისია დარჩეს იქ, თუ რუსეთის ლოგიკის მიხედვითაც კი ვიმოქმედებთ.

ენერგიულმა დიპლომატიურმა პასუხმა უნდა აგრძნობინოს მოსკოვს, რომ ორგანიზაციის მიერ უარის თქმა მისი მნიშვნელოვანი საქმიანობის განხორციელებაზე საქართველოში, კიდევ უფრო დიდ ზიანს მიაყენებს რუსეთის, როგორც საერთაშორისო პარტნიორის იმიჯს. ასეთ შემთხვევაში მოსკოვს მოუწევს დაადასტუროს, რომ იგი ისწრაფვის რეგიონში სტაბილურობისთვის და არა უბრალოდ ახორციელებს თავის გეოპოლიტიკურ სტრატეგიას.

**ლოურენს შიტსი**

REUTERS

# სააკაშვილი ობამას ანიჭებს უპირატესობას

**ბარაკ ობამას პოზიცია საქართველოსთვის კიდევ უფრო მეგობრულია, ვიდრე ის, რომელიც ეკავა ჯორჯ ბუშ-უმცროსს, — ამის შესახებ განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.**

„საქართველო ნელ-ნელა მიიწევს ნატოში და ევროპის სტრუქტურებში შესვლის გზით, ხოლო ურთიერთობა ამერიკის შეერთებულ შტატებთან გადავიდა „სტრატეგიულ დონეზე“, ვინაიდან ბარაკ ობამა აშკარად ლაპარაკობს რუსეთის აგრესიაზე და არა „ძალის არაპროპორციულ გამოყენებაზე“, როგორც ამას აკეთებდა ჯორჯ ბუში“, — აღნიშნა სააკაშვილმა.

„ურთიერთობა საფრანგეთთან რჩება ბრწყინვალე, ხოლო ურთიერთობა უკრაინასთან არ შეიცვლება, ვინც უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში მომავალი პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების შემდეგ, ვინაიდან უკრაინამ ერთმნიშვნელოვნად გააკეთა არჩევანი განვითარების დასავლურ გზაზე“, — აღნიშნა მან.

შეგახსენებთ, რომ 11 ივნისს ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესმა მიიღო დადგენილება „დემოკრატია საქართველოში“, რომელშიც მოუწოდა ევროკავშირს დაეხმაროს ქვეყანას მისი ტერიტორიიდან რუსეთის შეიარაღებული ძალების გამოყვანაში.

დოკუმენტში ხაზგასმით არის აღნიშნული იმის აუცილებლობა, რომ საქართველო ძალისხმევა და დემოკრატიის განვითარება, ეფექტიანი მართვა საქართველოში, რომელიც გულისხმობს „თავისუფალ და სამართლიან საარჩევნო პროცესს, ადამიანის უფლებების პატივისცემას და კანონის უზენაესობას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და სასამართლოების, სამოქალაქო საზოგადოების დამოუკიდებლობას, აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების გამჭვირვალებას“.

ყველა ზემოაღნიშნული, მიაჩნიათ ვაშინგტონში, „კრიტიკულად მნიშვნელოვანია საქართველოს ინტეგრაციისთვის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში, და ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი რეგულარულად წარმოადგენს მოხსენებას საქმის ვითარების შესახებ ამ სფეროებში, აგრეთვე იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება შარშანდელი აგვისტოს ომის შემდეგ საქართველოსთვის დახმარების პროექტები ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან.

РОСБАЛТ

## დედამიწის ზურგზე



**ამერიკელმა ჯარისკაცებმა შეიძლება დატოვონ ყირგიზეთის ავიაბაზა „მანასი“ უკვე 18 აგვისტოსთვის**

„დიახ, ჩვენ მზად ვართ“, — განუცხადა ჟურნალისტებს კოალიციური ბაზის ყოფილმა სარდალმა, პოლკოვნიკმა კრისტოფერ ბერნსმა. ამ დროს შესაბამისი ბრძანებები ვაშინგტონიდან ჯერ ისევ არ მოსულა. სამხედროები ვარაუდობენ, რომ მოლაპარაკება ბიშკეკში მომავალი ავიაბაზის შესახებ ჯერჯერობით მიმდინარეობს მაღალ დონეზე.

* * *

**ბრიტანეთის თავზე ერთმანეთს შეეჯახა პლანერი და სამხედრო- საჰაერო ძალების თვითმფრინავი, დაიღუპნენ პილოტი და მგზავრი**

ინციდენტი მოხდა ლონდონიდან 97 კილომეტრზე ოქსფორდშირის საგრაფოში. სასწავლო-საწვრთნელმა თვითმფრინავმა შეჯახების შემდეგ დაკარგა მართვა და ჩამოვარდა. პლანერის პილოტი მიწაზე პარაშუტით დაეშვა. თვითმფრინავის პილოტი და მისი მგზავრი — მოზარდი კადეტების კორპუსიდან დაიღუპნენ.

* * *

**კორეის სახალხო-დემოკრატიულმა რესპუბლიკამ დაიწყო საზღვრების გამაგრება ჩინეთთან საზღვარზე მდინარე იალუძიანის რაიონში**

ადრე ჩრდილოეთ კორეიის საზღვარზე დანდუნის რაიონში მესაზღვრე-მეთვალყურეები განთავსებული იყვნენ ტრადიციულ სანგრებში. ამჟამად სანგრების თავზე აგებენ მიწის სამაგრეებს. ეს სამუშაოები დაიწყო უშუალოდ გაეროს უშიშროების საბჭოში ფხენიანის წინააღმდეგ სანქციების შესახებ რეზოლუციის მიღების წინ.

* * *



**ბერლუსკონის წინააღმდეგ შეთქმულება ჩაიშალა, მიაჩნია უპორტფელო მინისტრს**

ჯანფრანკო როტონდი, რომელიც პასუხისმგებელია სამთავრობო პროგრამების შესრულებაზე, დარწმუნებულია, რომ ბერლუსკონიმ „თქვა პატიოსანი სიმართლე: იყო მცდელობა, ხელი შეეშალათ მთავრობის საქმიანობისთვის და მიეყენებინათ დარტყმა პრემიერისთვის, რათა იგი გაენადგურებინათ პოლიტიკურად“. ადრე ბერლუსკონი ბრალს სდებდა მემარცხენე ოპოზიციას ქვეყანაში ქაოსისა და მისი გადაყენების მცდელობის პროვოცირებისთვის.

* * *

**ირანის ქალაქების ქუჩებში მოხდა სამართალდაცვის ძალების მკაცრი შეტაკებანი ოპოზიციის მომხრეებთან**

უწესრიგობანი დაიწყო მას შემდეგ, რაც მაჰმუდ ახმადი ნეჟადი გამოაცხადეს გამარჯვებულად პრეზიდენტის არჩევნებში: სამივე ოპოზიციურმა პარტიამ უარყო არჩევნების შედეგები. თეირანში ასეთი მღელვარება არ ყოფილა უკვე რამდენიმე წელიწადია.



პოეზია

# უნდა ჰგავდეს სიცოცხლეს – სამშობლოსთვის სიკვდილი!

*დიდი დრო გასულა ცხოვრების ორომტრიალში, დიდი დრო გასულა სიტყვასთან ჭიდილში, სამშობლოს უკეთეს დღეებზე ფიქრში...*

*და, ამასობაში, ცნობილი პოეტი ნოდარ ჯალაღონია 75 წლისა მოიყარა.*

*დრომ კალამი არ გაგიცვითოს, გული არ დაგიბეროს, ბატონო ნოდარ, ბედკრული სამშობლოს უკეთეს დღეებს ერთად შეგვასწროს ღმერთმა!*

*გილოცავთ დაბადების დღეს!*

*„საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია*

## ნოდარ ჯალაღონია



### ისევ ჩვენ უნდა დავიცვათ

უზნელდებოდათ თვალები
ჩვენი ცის, მიწის ყურებით
და გვესეოდენ მუმლივით
ათასი მურვან-ყრუები.

უმეცრებსა და უვიცებს,
წკვარამში გამოკვეტილებს
არ ასვენებდათ შურ-ბოღმა
ჯალათებს-ჯალალედინებს.

და დღესაც ბევრი უღმერთო
გაგვითამამდა იქამდი,
საქართველოს და ქართველებს
გადაშენებას გვიქადის.

ჩვენი სიკვდილი ვინც სცადა
თვითონვე იქცა მიწადა,
რადგანაც ღმერთი გვწყალობდა
და ღვთისმშობელი გვიცავდა.

აღარ გვივლია ამ ქვეყნად
არც მარტო სხვათა იმედით,
დარუბანდ-ნიკოფსიამდე
საკუთარ ფეხით მივედით.

მაგრამ თუ ბედმა გვიმუხთლა,
ქვეყანა მართლა დაიქცა,
თბილისიცა და მთაწმინდაც
ისევ ჩვენ უნდა დავიცვათ.

სხვა არვინ შეეწირება ზეკარს,
სალხინოს, საჩინოს,
ის გელათიც და ვარძიაც ჩვენ
უნდა გადავარჩინოთ,

რადგან ბაზალეთ-ალგეთის
აკვნები ისევ ირწევა,
ცხინვალი ბასიანად და გორი
დიდგორად იქცევა.

მტრების საფლავად იქცევა
ჩვენი მთები და ველები,
არც დღეს აკლია სამშობლოს
ცოტნე და არაგველები.

რადგან გავლიეთ გოლგოთა
და სისხლიანი ქარ-წვიმა,
ღვთისმშობლის წილხვედრს
უფალი არც მომავალში
გაწირავს.

დიდ წინაპართა სახელიც
გვაერთიანებს, გვამრთელებს
და საქართველო ისევე
იცოცხლებს და იქართველებს.

* * *

თუ ვაპარპაშეთ მამულში,
მოესურვება ვისაცა,
აღარ გვექნება სამშობლო
და არც საფლავის მიწაცა.

ყველას – ერსა და ქვეყანას
აქვს თავის სიტყვა სათქმელი,
ცას მზე და მთვარე უხდება
და საქართველოს ქართველი.

* * *

მე ვერ ვიქნები მსაჯული
სხვა ქვეყნის, ხალხის, სხვა ერის,
ქართველს სჭირდება სამშობლო,
როგორც წყალი და ჰაერი.

რაღაა ჩვენი სიცოცხლე,
თუ ვერ ვთქვით ჩვენი სათქმელი,
ნაფოტს ჰგავს – წყალში
ჩავარდნილს
უსამშობლოო ქართველი.

* * *

განა მამულზე ფიქრობენ,
განა სიმართლე ირჩევა,
ქვეყნის დაქცევა იწყება
როცა ხალხი ბრბოდ იქცევა.

როცა ყველანი ქვეყნის ბედს
საკუთარ ჭკუით წონიან
და ყველას
თავისი თავი
სოლომონ ბრძენი ჰგონია.

### სამშობლოა ისევე, აქ დარჩენის იმედი

დაბადებისთანავე თუ
საფლავიც ითხრება,
მოსვლა ამ ქვეყანაზე აღარ
ღირდეს, იქნება.

წუთისოფლის შემყურე,
ლამის სულიც აყვირდეს,
სტუმრად მოსვლა ამ ქვეყნად,
იქნებ, მართლა არ ღირდეს.

მაგრამ წუთისოფელი,
განა, ყველას იმეტებს?
სამშობლოა ისევე,
აქ დარჩენის იმედი.

სამშობლოა ისევე, ვინც აკეთებს
არჩევანს,
ქართველი ხომ მარტოდენ
სიკვდილისთვის არ ჩნდება.

რადგანა გვაქვს დიდგორი,
მარაბდა და ასპინძა,
წუთისოფლის სტუმრები
უნდა ვიქცეთ მასპინძლად.

უნდა ვიქცეთ სამშობლოს
ხატებად და ძეგლებად,
ლეგენდებად, მითებად,
სიმღერებად, ლექსებად.

რადგანა ვართ ამ ქვეყნად,
თითზე ჩამოსათვლელი,
ცის ნებაა, ამ ქვეყნად,
დაბადება ქართველის.

ასე მჯერა, ასე მწამს,
ცა აკეთებს არჩევანს,
ღვთისმშობელი მფარველობს
ქართველების გაჩენას.

და თუ მაინც, ამ ქვეყნად,
სიკვდილი გვაქვს მისჯილი,
უნდა ჰგავდეს სიცოცხლეს –
სამშობლოსთვის სიკვდილი!

„ღმერთთან მისთვის
ვლაპარაკოგ,
რომ წარუძღვე წინა ერსა“.
ილია ჭავჭავაძე

ღმერთის ნებითა და
ღმერთის წყალობით,
თავის ხალხსა და მამულს
შველოდა,
ისევ გვმოძღვრავს და ისევ
გვპატრონობს
იმ მარადიულ საქართველოდან.

თორემ, დღეს საქმე ისე წავიდა,
ისე იმძლავრა სკამის მონობამ,
ბევრი გიჟი და ბევრი სულელი
იჩემებს ერის წინამძღოლობას.

* * *

არა სკამისთვის, არა
ფულისთვის,
მხოლოდ სამშობლოს
სიყვარულისთვის,
ვინც იტანს ტკივილს, სიცივეს,
შიმშილს
თავის ცისა და მიწის
გულისთვის.

ვინც შეკრულია მამულთან
ფიცით
და თავის ხალხის ტკივილი
ესმის,
ვისაც უყვარს და ვინც ფასი იცის
ქართული სიტყვის,
ქართული ლექსის.

ვინც ქართველია სულით და
გულით,
ღმერთს და სამშობლოს აღარ
იცვლიან,
სულ არ მაწუხებს სახელი მათი
„პოზიცია“ თუ „ოპოზიცია“.

არავითარი „იქით“ და „აქეთ“,
არავითარი „ისტი“ და „მისტი“,
უნდა ვიცოცხლოთ
სამშობლოსათვის
და ყველამ თავი გავწიროთ
მისთვის.

### ვისაც საქართველო უყვარს

ვინც არასდროს არ იღლება
ქვეყნის უღლის ტარებით,
ვისაც საქართველო უყვარს,
ყველას ვეთაყვანები.

სულიც მღერის, როცა ჩვენში
„იავნანას“ მღერიან
და ვინც ებრძვის ქართულ ენას
ყველა ჩემი მტერია.

ჩალის ფასი აღარ ადევს
მათ სახელს და ტიტულებს,
სკამისა და ტახტის მონებს
და ვერცხლად გაყიდულებს.

მაგრამ ვისაც შვილობა სურს
ალგეთის და მარაბდის,
სულ ერთია ვინ იქნება
ქართველი თუ არაბი,

ის, ვინც არის ქართვლის ბედის
მოზარე და მხილველი.
სულ ერთია ვინ იქნება
მცხეთელი თუ ტფილელი.

ვინც სისხლით და ოფლით იცავს
ჩემი ერის მომავალს,
მე იმ კაცის ფეხის მტვერი,
მე იმ კაცის მონა ვარ.

თუ ცოცხალმა ჩემი ქვეყნის
უღელი ვერ აწიე,
ღმერთო, მათი საფლავების
მიწად მაინც მაქციე.

ხმა წყალტუბოდან

# ოტია იოსელიანი: – ადეკვატურად იყავით, ადეკვატურად!

**დღეს სამშობლოს გულდამწვარი ჭირისუფალი, ცნობილი მწერალი, დრამატურგი, პოეტი, მეფუტკრე, მევენახე, მესიმინდე, მებუხრე, კალატოზი, ხურო... „გვიშტიბელ შოლოხოვად“ სახელდებული ბატონი ოტია იოსელიანი თავის რიგით დაბადების დღეს აღნიშნავს. ჰოდა, აბა, როგორ არ მომეკითხა სახელოვანი თანამემამულე?**



ვრეკავ წუხელ საღამოს წყალტუბოში:

**– როგორ გიკითხოთ, ოტია ბატონო?**

– (მცნობს ხმაზე) ოოოოო... შენ ხარ? რა ვიცი, რავა ვიქნები ამ დაქცეულ ქვეყანაში?!.

**– დაქცეულია მაქეთაც?!**

– კი, კი... შეგიძლიათ არ ინერვიულოთ: წყალტუბო აღარ არსებობს!.. ჩამოდი ერთი და ნახავ რა ამბავია... რავა გადეიკარგე მა თბილისში!::

**– აღდგომას ვიყავი, მაგრამ ვეღარ მოვასწარი თქვენი მონახულება!..**

– ჰო... გეიტრიტებოდი მაღლაკში!..

**– წამოდექით ფეხზე?! დადიხართ?!**

– ნელ-ნელა... სამი ოპერაცია გადევიტანე და... გონია გამოვკეთდე!..

**– ღმერთია მოწყალე... ალბათ მუშაობთ კიდეც ცოტა-ცოტას!..**

– არა, ჯერჯერობით არა... გონების დაძაბვას არ მირჩევენ... აბა, ჟურნალისტები რო აცხობთ და აცხობთ რაღაც სისულელეებს, მასე კი არაა მწერლობა... ეს **„ადეკვატური“** რაღა უბედურებაა მაინც, რაფერ მეიგონეთ ასეთი სიტყვა?!. „ვეფხისტყაოსნის“ დამწერი ხალხის ქვეყანაში რას მიედ-მოედებით?!

**– ფუტკარი როგორ გყავთ, ფუტკარი, გამოეფინენ გარეთ?..**

– ჰო, წაბლმა ყვავილობა დეიწყო და... ჩამოდი ერთი და გაგატლეკიებ თაფლს!.. ბიჭები ხო არიან კარგათ?!. გურამიე რას შობა (გოგიაშვილს გულისხმობს).. ელგუჯა (ლებანიძეს გულისხმობს)...

**– ვართ, ვართ!.. სამოცდამეცხრამეტე წლისთავს გილოცავს ყველა!**

– მადლობა!.. აბა, თქვენ იცით!.. ადეკვატურად იყავით, ადეკვატურად!

**– ოტია ბატონო, 15 ივნისს ქართველ მწერალთა ყრილობაა, თქვენ ალბათ ვერ დაესწრებით...**

– რა ეყრილობებათ, შენობა მაგენს არა აქ და... ქუჩაში ატარებენ ყრილობას?

**– ვნახოთ, რაც იქნება... იცოცხლეთ!**

ესაუბრა
ვილენ მარდალეიშვილი

წკეპლიკა

## „ეშმაკოვ, ქილია, რაღაცას შენ!..“

**კარგად** ამყოფოს და მალე გამოაჯანსაღოს მამაზეციერმა ის დამწვრობიანი და იღლოველებმშობლებიანი ოთხი წლის ბავშვი, მაგრამ ფრიად გამაკვირვა იმის ავადმყოფობის ისტორიაში ქვეყნის პრეზიდენტის ჩარევამ.

თქვენც ნახავდით ტელეკადრში, როგორ უქნია თითი ბატონმა პრეზიდენტმა ბატონ ჯანდაცვის მინისტრს, რომელიც, კიდევ კარგი, ფეხზე მდგარი და სმენაზე გაჯგიმული კი არა, იმასავით დამჯდარი უსმენდა.

– ბავშვის სიცოცხლე ყველაფერზე მაღლა უნდა იდგესო. ახლავე წავიდეს პოლიცია, წარსტაცოს შვილი გაჯიუტებულ და ბნელ დედ-მამას და ძალით წამოიყვანოს სამკურნალოდო. მერე მშობლების პასუხისმგებლობის საკითხიც განიხილონო; და ყველაფერი მომახსენონო.

ღვთისა და მედიკოსების შეწევნით, ძალით იქნება თუ ნებით, იმ პატარას კი ეშველება რამე, ოღონდ პიარით დასნეულებული პრეზიდენტის განკურნებას რა ეშველება! ჯერ ერთი, ქვეყნის პირველი პირი რატომ უნდა დასჭირვებოდა ამ საქმეს და იმისი პირადი განკარგულება, მაშინ როცა მართლა დასაჭირვებელი ამბებისთვის ვერ მიუხედავს და მეორეც – ახლა გახდა ადამიანის სიცოცხლე ასე ძვირფასი მაგისთვის? მაშინ სად იყო, იმ დროს სად იყო, ამ დროს სად იყო, იქ რატომ არ იყო, აქ რატომ არ იყო... იმდენი გამოსაძიებლის გამოძიება და იმდენი მოსახსენებლის მოხსენება რად არ მოითხოვა ტელეკამერების წინ? რასაა და ვისაა, თვალებს რომ უხვევს, თვალში ნაცარს რომ აყრის და როდემდე, ოხ, როდემდე?..

მკითხველს ვთხოვ, სათაური ფიქრით გადმოიტანოს ბოლოში და იმით დავამთავრებ სათქმელს...

ლუკა გორგაძე

## განცხადება შპს „კრწანისი ჰილსის“ ლიკვიდაციის შესახებ

**შეზღუდული** პასუხისმგებლობის საზოგადოება „კრწანისი ჰილსი“ ხელმეორედ აქვეყნებს განცხადებას საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ.

შპს „კრწანისი ჰილსის“ იურიდიული მისამართია – ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №13.

ლიკვიდატორი – სოულ ქუინი. საზოგადოების კრედიტორების მიერ მოთხოვნების წარმოდგენის ვადაა 30 კალენდარული დღე საზოგადოების ლიკვიდაციის შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან. საზოგადოების კრედიტორებმა ლიკვიდატორს უნდა წარმოუდგინონ:

ა) კრედიტორების ვინაობა და მისამართი;

ბ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის მონაცემები;

გ) იურიდიული პირები დამატებით წარადგენენ სადამფუძნებლო დოკუმენტებს;

დ) ვალდებულების წარმოშობის საფუძველი და პერიოდი;

ე) ვალდებულების არსებობის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტები;

ვ) ვალდებულების ოდენობა.

შპს „კრწანისი ჰილსის“
ლიკვიდატორი სოულ ქუინი

◎ წყალბურთი

# „ლაგუნა ვერე“ მასპინძლობს



**საწყლოსნო კომპლექს „ლაგუნა ვერეზე“ გუშინ დაიწყო და 19 ივნისს დამთავრდება ახალგაზრდა წყალბურთელთა საქართველოს პირველობა. საასპარეზოდ 1991-1996 წლებში დაბადებული სპორტსმენებით დაკომპლექტებულმა 15-მა გუნდმა მოიყარა თავი სამ ასაკობრივ ჯგუფში. მედლებისთვის იბრძოლებენ:**

**1991-1992 წლებში დაბადებულნი:** „ლიგამუსი“, „ივერია-1“, „ივერია-2“, „დელფინი“ და „ლაგუნა ვერე“.

**1993-1994 წლებში დაბადებულნი:** „ლიგამუსი“, „ივერია-1“, „ივერია-2“, „ლაგუნა ვერე“ და ასკ.

**1995-1996 წლებში დაბადებულნი:** „ლიგამუსი-1“, „ლიგამუსი-2“, „ლიგამუსი-3“, „ივერია“ და ასკ.

**გუშინ გაიმართა პირველი ორთაბრძოლები.** „ლაგუნა ვერემ“ „ივერია-2“-ს სძლია 12:7, ხოლო „ლიგამუსმა“ „დელფინი“ (1991-1992 წ.წ.) დაამარცხა – 16:1; თხუთმეტ-თექვსმეტწლიანებში „ივერია-2“-მა არმიის სასპორტო კლუბს მოუგო – 7:3.

**გიორგი გაგუა**

**სურათზე: „ლიგამუსისა“ და „დელფინის“ შეხვედრის მომენტი.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

◎ ვაკანსია

# ვინ შეცვლის ცხადაძეს?

**კახი ცხადაძე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავკაცად რამდენიმე თვის წინათ დაინიშნა, თუმცა ამ დღეებში აზერბაიჯანში მოუწია სამწვრთნელო კარიერის გაგრძელება – მას მეზობელი სახელმწიფოს ერთ-ერთი უმდიდრესი კლუბის ბაქოს „ინტერის“ უფროსობამ გამოუცხადა ნდობა.**

ახალგაზრდა სპეციალისტი თანახმა იყო, შეთავსებით ორივე საქმეს შესჭიდებოდა, მაგრამ ეს ვარიანტი ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომმა უარყო. მან, ალბათ, ის ანალოგიური მაგალითები გაითვალისწინა, იშვიათად რომ მოუტანია ორ ფრონტზე მებრძოლთათვის წარმატებანი, მაგრამ თავს უფლებას ვაძლევ სფფ მესვეურებს ვკითხო: ჰექტორ რაულ კუპერი რომ მხოლოდ „ჯვაროსნებს“ ავარჯიშებს, იმიტომ ვერ ავუდივართ გამარჯვებებისა და ქულების თვლას?

ასეა თუ ისე, გაჩნდა ვაკანსია და იგი სასწრაფოდ უნდა შეივსოს. კიდევ კარგი, შესაფერის კანდიდატურათა ნაკლებობას არ განვიცდით. რადგან ქვეყანაში პრიორიტეტულად თინეიჯერთა დაწინაურებაა მიჩნეული, ახალკაცსა და მის კანტორას ვურჩევ გიორგი ჩიხრაძეს ან გია გეგუჩაძეს მისცეს უფრო მაღალ დონეზე თავის გამოჩენის შანსი, მაგრამ თუ უპირატესობას გამოცდილებით ზურგგამაგრებულ პროფესიონალიზმს მიანიჭებს, რაც, ვფიქრობ, უფრო გამართლებული იქნება, მაშინ უმუშევარ (პარადოქსია, არა?) თემურ მახარაძეს, ალბათ, ძნელია, ალტერნატივა მოეძებნოს. მას ამ დღეებში 60 წელი შეუსრულდა, რასაც სულითა და გულით ვულოცავ.

რაც შეეხება ძველი გვარდიის კიდევ ერთ ღირსეულ წარმომადგენელს რევაზ ძოძუაშვილს, რადგან სამშობლოში არ აფასებენ, მასაც აზერბაიჯანელები უპირებენ მიწვევას. ეს გახლავთ დსთ-ს თასის ყოფილი მფლობელი ლენქორანის „ხაზარი“, თუმცა ისე არავინ გაგვიგოს, თითქოს ეს უკვე გადაწყვეტილი იყოს – „მიხიჩას“ გარდა, სოლიდური სპონსორებით წელგამართული გუნდის გაძღოლაზე პრეტენზიას გაჯი გაჯიევი და აღასალიმ მირჯავადოვი აცხადებენ.



როგორც შევიტყვეთ, ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

**გიორგი შოთაძე**

◎ ჭადრაკი

# ბელა ხოტენაშვილი პირველია



**სხვადასხვა ქვეყნის 53 მანდილოსანი მონაწილეობდა ხუთგზის მსოფლიოს ჩემპიონის მაია ჩიბურდანიძის თასის გათამაშებაში, რომელიც წლეულს მესამედ გაიმართა.** შესანიშნავად ორგანიზებული ტურნირის ფავორიტები იყვნენ ქუთაისელი დიდოსტატი ნანა ძაგნიძე (რეიტინგი – 2541), უკრაინელი ანა მუზიჩუკი (2533), რომელიც რამდენიმე წელიწადია სლოვენიის სახელით გამოდის, და სომეხი ლილიტ მკრტიჩიანი (2479), ცხადია, საქართველოს ოლიმპიური გუნდის წევრებთან ერთად.

სპეციალისტთა ვარაუდი არ გამართლდა, რადგან შეჯიბრების პირველი დღიდანვე ლიდერობა ხელთ იგდო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეოთხეკურსელმა ბელა ხოტენაშვილმა (2364), რომელმაც, მეხუთე ტურში წაფორხილების მიუხედავად, მაინც მიაღწია სასურველ შედეგს – ბოლო ტურში იგი დიდოსტატ მაკა ფურცელაძეს დაუზავდა, 9 შესაძლებლიდან 7 ქულა მოაგროვა და მთავარი პრიზი მოიპოვა, რომელიც მას თვით მაია ჩიბურდანიძემ გადასცა. ამდენივე ქულით, მაგრამ უარესი კოეფიციენტით მეორე ადგილი ლელა ჯავახიშვილმა დაიკავა. 6,5-6,5 ქულით, შესაბამისად, მესამე-მეხუთე ადგილები გაიყვეს ანა მუზიჩუკმა, მაკა ფურცელაძემ და სალომე მელიამ.

ტურნირის (სპონსორები – ფირმა „სოკარი“, „ქართუ ჯგუფი“ და სასტუმრო „ვარაზი“) საპრიზო ფონდი იყო 28 ათასი ლარი, საიდანაც გამარჯვებულს 5 ათასი ლარი ხვდა, მეორე და მესამეადგილოსნებს – შესაბამისად, 4 და 3 ათასი ლარი – ფულადი ჯილდოები მიიღეს სენიორებში გამარჯვებულმა და პრიზიორმა, ასევე, ხუთ-ხუთმა ურეიტინგომ და დაბალრეიტინგიანმა.

საერთაშორისო ტურნირის საზეიმო დახურვისას შეჯიბრების მაღალ დონეზე ორგანიზებასა და შედეგებზე კმაყოფილება გამოთქვეს ჭადრაკის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა გია გიორგაძემ, მაია ჩიბურდანიძემ, სეოკის პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა რამაზ გოგლიძემ, ასპარეზობის ინიციატორმა, დიდოსტატმა ნინო გურიელმა. ორგანიზატორებსა და სპონსორებს ბელა ხოტენაშვილმა და ანა მუზიჩუკმა მადლობა გადაუხადეს.

გუშინ ჭადრაკის სასახლეში თბილისის მერიის თასის გათამაშება დაიწყო.

**სურათზე: მაია ჩიბურდანიძე აჯილდოებს ბელა ხოტენაშვილს.**
**ვაჟა დანელიას ფოტო.**

◎ ავტორბოლა

# „პეჟომ“ ლეგენდარული რბოლა მოიგო

**მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული, უკვე ლეგენდარულად აღიარებული რბოლა „ლე-მანის 24 საათი“ მოიგო „პეჟოს“ გუნდმა დევიდ ბრებჰემის, მარკ ჟენესა და ალექს ვურცის შემადგენლობით, მეორე ადგილზეც „პეჟოს“ გუნდი გამოვიდა სტეფან სარაზენის, სებასტიან ბურდეს, ფრანკ მონტანის შემადგენლობით. მესამე საპატიო ადგილი კი, „აუდის“ ეკიპაჟმა მოიპოვა – რონალდო კაპელოს, ტომ კრისტენსენისა და ალან მაკნიშის შემადგენლობით.**



გამარჯვებული გუნდის მთელი შემადგენლობა „ფორმულა-1“-ის ყოფილი პილოტები არიან.

„ძალზე ემოციური კაცი როდი ვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ვტიროდი ბოლო წრეზე, – აღიარა ერთ-ერთმა გამარჯვებულმა მარკ ჟენემ, – სამივე მანქანა როცა გვერდი-გვერდ მოდიოდა, მივხვდი, რა დიდი მიღწევაა, ამის მსგავსი ცხოვრებაში არ განმიცდია“.

◎ „დია – 2009“

# ბუტე, ბუტე, გაგებუტე...





**სეზონის საუკეთესო მოთამაშეთა დაჯილდოების ცერემონიალი პროფესიული ფეხბურთის ლიგამ მეხუთედ მოაწყო, თუმცა ისეთი საზეიმო ვითარება, კომპანია „ბაგრატიონის“ ზღაპრულ საბანკეტო დარბაზში რომ სუფევდა, მართლაც რომ არნახული გახლდათ.**

ამ ფონზე ნონსენსად შეგვიძლია მივიჩნიოთ ის ბოიკოტი, თბილისის დინამოელებმა რომ გამოუცხადეს ღონისძიების ორგანიზატორებს. მათი პროტესტის ოფიციალურ მიზეზად საწვრთნელი პროცესი გამოცხადდა – აქაოდა, იმავე დროს დანიშნულ მორიგ ვარჯიშს ვერ გავაცდენთო, მაგრამ ამას არავინ ჭამს – ყველამ კარგად ვიცით, რომ ქვეყნის ყველაზე ტიტულოვანი კლუბის წარმომადგენლები წლევანდელი ეროვნული ჩემპიონატის ვერმოგებაში ქართული ფეხბურთის მამებს ადანაშაულებენ, უკმაყოფილების გამოსახატავად კი მათ ამჯერად აღნიშნული ფორმა აირჩიეს. საწუხარ არს ესე!

**რაც შეეხება ლაურეატთა ვინაობას, ჟურნალისტთა რჩეულნი გახდნენ:**

**მეკარე** – გიორგი ლომაია („ლოკომოტივი“).

**მცველი** – ლექსო კვახაძე („ვიტ ჯორჯია“).

**ნახევარმცველი** – ლუკა რაზმაძე („ვიტ ჯორჯია“).

**თავდამსხმელი** – ნიკა გელაშვილი („ზესტაფონი“).

**მწვრთნელი** – ნესტორ მუმლაძე („ვიტ ჯორჯია“).

**სეზონის აღმოჩენა** – ვაჟა ნემსაძე („დინამო“).

**მსაჯი** – ლაშა სილაგავა (თბილისი).

**პროექტი** – „ვისოლი – ავაზას“ სპორტული კომპლექსი.

**ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი** – გიორგი მერებაშვილი („დინამო“).

**საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი** – ლევან კობიაშვილი („შალკე“).

**გია პლატონიშვილი**

◎ ინტერნეტიდან

# ლამაზმანი ჟურნალისტი გახდა



**წარსულში ცნობილი ფიგურული მოციგურავე, ახლა კი პოპ-ლამაზმანი ანა სემინოვიჩი გახდა პრიალა ჟურნალის მთავარი რედაქტორი.** ის ჟურნალში Mini აპრილში მიიწვიეს, მაისის ბოლოს კი უკვე ჟურნალის აგვისტოს ნომრებზე დაიწყო მუშაობა, რასაც მთელი სერიოზულობით მიუდგა. რედაქციაში ანა მთელ თავისუფალ დროს გაატარებს – ის დაწერს ტექსტებს, შეუდარებს კორექტურას და უხელმძღვანელებს დაკაბადონებას – ერთი სიტყვით, დაეუფლება მძიმე ჟურნალისტური შრომის მთელ „საიდუმლოს“.

„ჟურნალისტური მუშაობა მე აღმაფრთოვანებს, –განაცხადა ანამ, – ზოგჯერ ვფიქრობ, კიდევ ხომ არ შევიცვალო პროფესია?

◎ ფეხბურთი

# შორია ელიტამდე

**მას შემდეგ, რაც ავსტრალიელები აზიურ კონფედერაციაში გადაბარგდნენ, ოკეანეთში ახალზელანდიელთა ჰეგემონია დამყარდა, თუმცა მათ, ეტყობა, კიდევ კარგა ხნით მოუწევთ ლოკალური წარმატებებით დაკმაყოფილება – ძლიერნი ამა ქვეყნისანი მაიკლ ჰერბერტის შეგირდთათვის დაუძლეველ ზღუდედ რჩებიან.**

საილუსტრაციოდ სამხრეთ აფრიკაში დაწყებული კონფედერაციათა თასის გათამაშების პირველ დღეს ესპანელებთან გამართული მატჩი გამოდგება, რომელშიც ტრავმირებულ ინიესტასა და სენას გარეშე მოასპარეზე ევროპის ჩემპიონებმა მეტოქეს დიდი ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარეს – 5:0 (ტორესი – 3, ფაბრეგასი, ვილია).

ფრედ – 0:0 დასრულდა მასპინძელთა და ერაყელთა შეხვედრა.



◉ გამოიცა

# ახლოს იყო ლურჯი მთები, თეთრი სანატორია!

## საქართველო აფხაზურ პოეზიაში

**იქნებ ზღვა ქართველ-აფხაზთა დაშორიშორების გამო აღელვებულა?! ძმათა დაშორიშორებას აუზორგებია?!** ალბათ... არადა, მშვიდი ზღვა დაჰფოფინებდა ამ ოცი წლის წინათ ქართველებს და აფხაზებს, ერთი გვქონდა ზღვა და ზღვის სანაპირო... ახლოს იყო ლურჯი მთები, თეთრი სანატორია... ნუღა ვიტყვით, ვინ ჩადგა ჩვენს შორის, ნუღა გავამძაფრებთ, ისედაც დაძაბულ გრძნობებს, ფაქტია, რომ ჩვენ — ქართველები და აფხაზები, ერთმანეთის მორდუები ვერ გავუფრთხილდით მამა-პაპათა საუკუნეობრივ ურთიერთობებს და ტყვია ვესროლეთ ერთმანეთს... არადა, ერთად ვიყავით, გადანასკვული იყო ჩვენი ყოფა, კულტურა, განათლება, მეცნიერება, მწერლობა...ამის დასტურია ახლახან გამოცემული შესანიშნავი წიგნი-ალბომი **„აღელვებული ზღვა საქართველო აფხაზურ პოეზიაში“**.

ჩვენი ძვირფასი **გენო კალანდია** — შესანიშნავი პოეტი, აფხაზეთიდან დევნილი, ერთხელ კიდევ გვახსენებს, თუ რა ძმური ურთიერთობები ჰქონდათ, თუ როგორ ასხამდნენ ქართველი პოეტები ქება-დიდებას აფხაზეთის ულამაზეს ბუნებას და უმამაცეს ადამიანებს და პირიქით — აფხაზი შემოქმედნი საქართველოსა და ქართველებს.

ჰოდა, სამწუხაროდ, გაუცხოვდა ყოველივე ეს ორი ათეული წელია... თუმცა ამ უბრწყინვალესი კრებულის გამომცემელი — **აფხაზეთის ლიტერატურისა და ხელოვნების შემოქმედებითი კავშირი, პროექტის ავტორი და რედაქტორი გენო კალანდია, სარედაქციო კოლეგიის წევრები — ნუგზარ ანთელავა, გივი ბერაია, რენე კალანდია, გელა ჩქვანავა, მხატვარი — გიორგი წერეთელი და საერთოდ, გამომცემლობა „სვეტის“ თანამშრომლები** იმედოვნებენ, რომ ძმათა ოდინდელი ურთიერთობა კვლავაც აღდგება,




აი, ნახეთ, რა მახლობელია, რა ნაღდი და ხასხასაა აფხაზთა გულისთქმა საქართველოსადმი, ქართველებისადმი:

**„თვალები რუსთაველისა —**
**სიღრმით ქებული**
**ზღვა არი,**
**ძალგულოვნება შოთასი —**
**აღელვებული ზღვა არი,**
**სიმშვიდე რუსთაველისა —**
**მზით მოვერცხლილი**
**ზღვა არი,**
**შოთას მშფოთვარე**
**სიცოცხლე — ატალღებული**
**ზღვა არი“.**

(დიმიტრი გულია: „რუსთაველის ძეგლი სოხუმში“ თარგმანი თ. ჯანგულაშვილისაძ.

უამრავია ასეთი გულთბილი სტრიქონი კრებულში. იქით გიორგი შარვაშიძის „ვარადა“, აქეთ ბაგრატ შინკუბას „შოთა რუსთაველი“ (თარგმანი თ. ჯანგულაშვილისაძ, აგერ, ივანე თარბას „ოჯახი“ (თარგმანი შოთა ნიშნიანიძისაძ, აი, ალექსი ჯონუას „აფხაზური სიმღერა თბილისზე“ (თარგმანი ხუტა ბერულავასიძ და ასე შემდეგ და ასე შემდეგ...

ეს წიგნი-ალბომი იტევს თვალსაჩინო აფხაზი პოეტების ლექსებს საქართველოსა და ქართველებისადმი, გვაცნობს უამრავ ფოტომასალას, რასაც, რაც დრო გავა, უფრო და უფრო დაედება ფასი.

აი, როგორ გვიყვარდა ჩვენ ერთმანეთი, აი, როგორ ვუთბობდით გულებს ერთმანეთს... ნუთუ ყველაფერი დამთავრდა?! არა და არა! პრაგმატულ პოლიტიკას ყოველთვის ამარცხებდა რომანტიზმი და პოეტური სულისკვეთება! იქნებ, ამის იმედი აქვს გენო კალანდიას და მის ჯგუფს — ამ წიგნი-ალბომის გამომცემელთ?! ღმერთმა ინებოს!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ შემოქმედებით კავშირებში

# მწერალთა ყრილობა

გუშინ აკ. ხორავას სახელობის მსახიობის სახლში გაიმართა საქართველოს მწერალთა კავშირის 23-ე ყრილობა. ყრილობამ, რომელსაც ოთხასზე მეტი დელეგატი ესწრებოდა გადამწყვეტი ხმის უფლებით, ღია კენჭისყრით კავშირის თავმჯდომარედ კვლავ აირჩია პოეტი **მაყვალა გონაშვილი,** მოადგილეებად **რევაზ მიშველაძე** (პირველი მოადგილეძ, **ვაჟა ოთარაშვილი** და **ბადათერ არაბული,** მდივნად **დავით შემოქმედელი (ტაკიძეძ.** ყრილობამ აირჩია აგრეთვე გამგეობა და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც დაგმობილია საქართველოში მიმდინარე ანტიდემოკრატიული პროცესები.

**დედა ლეილა, მეუღლე მარინა ფიფია, შვილი გიორგი, რძალი მაიკო ნოლაიდელი, შვილიშვილები ანანო და ნიკა, ბიძა ტრისტანი, სიდედრი ეთერი, ცოლისდები ნონა, დოდო ოჯახებით, ახლო ნათესავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**გია გეგენავა**

**პანაშვიდი 15 VI, 16 სთ. დაკრძალვა 16 VI, 14 სთ. მისამართი: თბილისი, ბოგდან ხმელნიცკის ქ. 181, „თბილავიამშენის“ ადმინისტრაციულ შენობასთან.**

**ილია ჭავჭავაძის სახელობის თბილისის უნივერსიტეტის კოლექტივი უთანაგრძნობს ჩვენს დეკანს პროფესორ ნანა კირკიტაძეს ბიძის**

**ბუდუ კირკიტაძის**

**გარდაცვალების გამო.**



**ასოციაცია „სტაბის“ თანამშრომლები დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტს გოჩა კურდღელიას გარდაეცვალა მამა**

**ნოდარ კურდღელია**

**და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს. დაკრძალვა 20 VI, 15 სთ. ქ. ფოთში. წმ. გიორგის ქუჩა №7.**

**მეუღლე ფისო, შვილი მაია ბოკუჩავა, შვილიშვილები რუსო და შამშე, სიძე იასე ზაუტაშვილი, შვილთაშვილები ანასტასია და ნატალია, მძახლები დოდო მურღულია და გიული ზაუტაშვილი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა**

**ვასიკო ბოკუჩავა**

**დაკრძალვა ქალაქ თეირანში, გამოსვენება რუსული ეკლესიიდან. 15 ივნისს.**

**შპს „თბილმეტრომშენის“ კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა „თბილგვირაბმშენის“ ყოფილი მთავარი ინჟინერი, ქ. თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობის ერთ-ერთი ფუძემდებელი, მთავრობის მრავალი ჯილდოს კავალერი, დამსახურებული ინჟინერ-მშენებელი**

**ბუდუ ფაჩულია**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

◉ ინფორმაცია

## ბურუსით მოსავენ

**საქართველოს ეროვნული ბანკის ობიექტების მშენებლობისთვის ჩასატარებელი ან ჩატარებული საპროექტო-სამშენებლო და სარემონტო სამუშაოების შესახებ ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლო ხდება. აღნიშნული ქვეპუნქტი სახელმწიფო საიდუმლოს მიკუთვნებულ დამტკიცებულ ცნობათა ნუსხის პუნქტს, საქართველოს პრეზიდენტის მიმდინარე წლის 3 ივნისის №300 ბრძანებულებით ემატება.**

ამავე ბრძანებულებით, საიდუმლოს განეკუთვნება ინფორმაცია ეროვნული ბანკის ობიექტების მშენებლობის დროს გამოყენებული ტექნიკური საშუალებების, სამშენებლო-სარემონტო მასალისა და ძალების შესახებ. ასევე, საიდუმლოა ცნობები ობიექტების დაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის სისტემებისა და რეჟიმის შესახებ.

## რაში დაიხარჯა ფული?

**არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარობა“ სამთავრობო პროგრამა „იაფი კრედიტის“ ფარგლებში გაცემული 2,5 მლნ ლარის სესხის მიზნობრიობის განმარტებას ითხოვს. როგორც „სოლიდარობის“ ხელმძღვანელმა კახა კოხრეიძემ განაცხადა, ორგანიზაცია სწავლობდა, თუ რამდენად წარმატებული იყო აღნიშნული პროგრამა.**

პრემიერ-მინისტრ ლადო გურგენიძის ხელმოწერილ განკარგულებაში აღნიშნულია, რომ „იაფი კრედიტის“ პროგრამის ფარგლებში კერძო კომპანია „ჯორჯიან იერ სერვისზე“ გაიცა 2,5 მლნ ლარის კრედიტი საჰაერო ხომალდის შეძენის მიზნით, — აღნიშნა კოხრეიძემ.

მისი თქმით, სესხი აღნიშნულ კომპანიაზე ექსპორტის ხელშეწყობის ქვეშუხლით გაიცა. ორგანიზაციას აინტერესებს, როგორი იყო ბიზნეს-გეგმა, როგორ შეუწყო ხელი თვითმფრინავის შეძენამ ექსპორტის განვითარებას, რამდენი ადამიანი დასაქმდა და ვინ დაფრინავს აღნიშნული თვითმფრინავით.

**ინტერპრესნიუსი**

◉ მოგზაურობა

# მოტოციკლეტებით შავი ზღვის გარშემო

**მოტოციკლეტებით შავი ზღვის ირგვლივ — ასეთი მარშრუტით აპირებენ შავი ზღვის ქვეყნების მონახულებას ლატვიელი მოგზაურები. ხუთი მოტოციკლისტი და ერთი კინოოპერატორი საქართველოში შემოსვლას აფხაზეთის მხრიდან აპირებდნენ, მაგრამ ერთ-ერთმა მოგზაურმა ადგეს შვამბარმა განაცხადა, რომ აფხაზმა მილიციელებმა მათ არ ურჩიეს ზუგდიდში აფხაზეთის გავლით შესვლა და იძულებულნი გახდნენ საქართველოს მონახულება აჭარიდან დაეწყოთ.**

ზუგდიდში მაინც მოხვდნენ, გაოცებულნი იქაური სტუმართმოყვარეობით, ხალხის მხრიდან ყურადღებითა და პატივისცემით, უცებ გაუქრათ შიშის ის გრძნობა, რაც აფხაზეთის მხრიდან „დაანათლეს“ მათ მოგზაურობას.

„მიუხედავად იმისა, რომ ქართველები ყველგან თავიანთ ბინებსა და სასტუმროებს გვთავაზობდნენ ღამის გასათევად, ჩვენ მაინც საკუთარ კარვებში ვამჯობინეთ ცხოვრება. მოგზაურობა ივლისში დასრულდება, რის შემდეგაც საქართველოში მიღებული შთაბეჭდილებების გათვალისწინებით შვიდნაწილიან დოკუმენტურ ფილმს გადავიღებთ. ამ ხნის განმავლობაში მთელ საქართველოს მოვივლით და შემდეგ შავი ზღვის აუზის სხვა ქვეყნებსაც მოვინახულებთ“, — განაცხადა ადგეს შვამბარმა.

**ელგუჯა ნადარეიშვილი**

ავტორის ფოტო



# შ ე ტ ყ ო ბ ი ნ ე ბ ა

## სააქციო საზოგადოების მორიგი საერთო კრების მოწვევისა და საერთო კრების სააღრიცხვო თარიღის დადგენის შესახებ

**სს „იბერია უძრავი ქონების“ სამეთვალყურეო საბჭო და დირექტორი იწვევენ აქციონერებს საზოგადოების მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 2009 წლის 7 ივლისს 11 საათზე ქ. თბილისში, ჭავჭავაძის გამზ. №49ა-ში მდებარე სააქციო საზოგადოების ოფისში.**

**სამეთვალყურეო საბჭო ადგენს საერთო კრების სააღრიცხვო დღეს, რომელიც იქნება 2009 წლის 30 ივნისს, რომლის სამუშაო დროის დასრულების მდგომარეობით განისაზღვრება კრებაში მონაწილეობის უფლებამოსილ აქციონერთა სია.**

**დღის წესრიგი:**

1. სს მენეჯმენტის ანგარიში 2008 წლის შედეგების შესახებ და 2009 წლის ბიუჯეტის განხილვა;
2. დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევა;
3. OPIC-ის სესხების პირობების განხილვა და დამტკიცება.

დღის წესრიგის საკითხების გამო დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება აქციონერებს შეუძლიათ სს-ის დირექტორთან. დღის წესრიგის თითოეულ საკითხთან დაკავშირებით აქციონერებს შეუძლიათ განმარტებების მოთხოვნა დირექტორისგან როგორც ზეპირად, ასევე წერილობით. თუ ამგვარი წერილობითი მოთხოვნა წარდგენილი იქნა დირექტორთან 2009 წლის 26 ივნისამდე, მასზე იქნება გაცემული პასუხი ან საკითხი შევა დღის წესრიგის დამატებით პუნქტად.

**საზოგადოების დირექტორთა საბჭო და სამეთვალყურეო საბჭო რეკომენდაციას იძლევა, რომ**

1. ახალი ბიუჯეტის განხილვა საშუალებას მისცემს მენეჯმენტს სწორად მართოს კომპანიის ფინანსური რესურსები.
2. მეწარმეთა შესახებ კანონის თანახმად და საზოგადოების უფრო ეფექტური და პროდუქტიული მუშაობისთვის მიზანშეწონილია დამოუკიდებელი აუდიტორის არჩევა.
3. OPIC-თან არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე და OPIC-ის სესხთან დაკავშირებით, დამტკიცდეს „სავარაუდო პირობათა ჩამონათვალი“ (Indicative Term Sheetძ.

საზოგადოების დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო თვლის, რომ ზემოთ აღნიშნული ცვლილებები საშუალებას მისცემს საზოგადოებას ახალი და პერსპექტიული გეგმების განსავითარებლად.

პატივისცემით,

**რამაზ მოსაშვილი**

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე;

**ვლადიმერ თუხარელი**

დირექტორი

## რას არ გაიგებ

# აბრამოვიჩის უძვირფასესი იახტა

**ჰამბურგის ვერფებაზე დამთავრდა მსოფლიოში ყველაზე ძვირფასი კერძო იახტის მშენებლობა – რუს მილიარდერს, ლონდონის „ჩელსის“ პატრონ რომან აბრამოვიჩს რომ ეკუთვნის. მას Eclipse ჰქვია და 340 მილიონი ევრო ღირს. იახტა უკვე ჩაუშვეს წყალში.**

მისი სიგრძე თითქმის 170 მეტრია, 11 ლუქს-კაიუტა აქვს 24 სტუმრის მისაღებად. 70-კაციანი ეკიპაჟი ემსახურება. მისი შენახვა კი წელიწადში 25-30 მილიონი ევრო დაჯდება.

იახტაზე არის ორი საცურაო აუზი, კინოთეატრი, დისკოთეკა. ხომალდის კორპუსი დამზადებულია ტყვიაგაუმტარი ფოლადით, ფანჯრები – შეჯავშნული



მინით. ამას გარდა, ხომალდის ბაქანზე არის რაკეტა-თავდასხმების მაუწყებელი გერმანული სისტემა, ორი ვერტმფრენი, აგრეთვე მინი-სუპერმარინი, 50 მეტრის სიღრმეზე ჩაყვინთვა რომ შეუძლია. ეს აბრამოვიჩის მესამე იახტაა, ამას გარდა „ჩელსის“ პატრონს აქვს მსოფლიოში უდიდესი კერძო თვითმფრინავი და ორი წყალქვეშა ნავი.

ვნახოთ, ყოველივე ეს როგორ წაადგება მინდორზე „ჩელსის“ წარმატებებს.

**უცხოური პრესის მიხედვით**

**რეკლამა**
„საქართველოს რესპუბლიკაში“
98-65-87; 899 32-85-76.
კოსტავას 12

## დაიჯესტი

### ასტროეგზოტიკა

**დაბადების თარიღით შეგიძლიათ გაიგოთ პირამიდების ქვეყნის თუ რომელი ღმერთის ზეგავლენით ჩამოყალიბდა თქვენი ხასიათი.**

**ბასთი**

იგი სიყვარულისა და ნაყოფიერების ქალღმერთია. მას ეთაყვანებოდნენ როგორც ღმერთების რისხვისგან ადამიანთა ნაზ და ბრძენ, თუმცა კი მაცდუნებელ მფარველს.



**დაბადების პერიოდები:** 14-28 ივლისი; 23-27 სექტემბერი; 3-17 ოქტომბერი.

**ხასიათი:** მიუნდობელი, მორიდებული და გულუხვი. ბასთი მომხიბლაობისა და სიკოხტავის განსახიერებაა, რომელიც სინატიფის თანდაყოლილი ნიჭითაა დაჯილდოებული. ასეთი ადამიანები ანდამატივით იზიდავენ უარყოფით ემოციებს, აშოშმინებენ და აზავებენ მოქიშპეებს. ისინი ფხიზელნი, დაკვირვებულნი და, ამის შედეგად, ეჭვიანნი არიან.

სასიყვარულო ურთიერთობებში ეძიებენ თავიანთი მდიდარი სულიერი სამყაროს დამნახავ პარტნიორს.

### გემოსი რა მოგახსენოთ...



**რას არ იგონებენ დიზაინერები კლიენტურის მისაზიდად! ადამიანის ფანტაზია ისედაც უსაზღვროა, ხოლო მოდის შემქმნელებს ის სხვებზე მეტად უფრო ორიგინალური და უცნაური აქვთ.** ძნელი სათქმელია, თუ რამდენად გემრიელია ამ აშკარად ზერბიჭას ჰალსტუხი, მაგრამ ვინიცობაა ცალ წინდას ვერ მიაგნოს, მის მაგივრობას მამაკაცის პეწენიკობისა და ელეგანტურობის ეს ატრიბუტი გაუწევს.

### თავისუფალი ვარდნის ექსტაზი



**შვიდი წლის ფრანგი ბიჭუნა ჯონათანი, გამოცდილ ინსტრუქტორთან ერთიან ბმაში, პარიზის მახლობლად აეროდრომის თავზე... თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოხტა.** დედამიწაზე დაშვების შემდეგ პატარა გულადმა ბიჭუნამ ჟურნალისტებს განუცხადა: „ეს საოცრება იყო. თვითმფრინავიდან ორი კილომეტრის სიმაღლეზე გადმოვხტი და ნახევარი კილომეტრი თავისუფალ ვარდნაში ვიფრინეთ. ამ შეგრძნების სიტყვებით აღწერა შეუძლებელია“.

### გოჭები არა საახალწლოდ

**ცოტა ხნის წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოკითხვა ჩაატარეს, რომლის მიზანი ყველაზე პოპულარული შინაური ცხოველების გამოვლენა იყო.** პირველი ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, კატებს ხვდათ წილად, მეორე – ძაღლებს, რაც ასევე არ იყო გასაკვირი. მაგრამ, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, მესამე ადგილი წილად ხვდათ... გოჭებს, რომლებიც ამერიკაში ცხოველთა მოყვარულ ყოველ მეათე ოჯახს ჰყავს. ერთი კია: „გოჭთმოყვარეები“ უპირატესობას პატარა, ექვს კილოგრამამდე წონის ვიეტნამურ გოჭებს ანიჭებს, როგორც მოყვარულები ირწმუნებიან, ეს მინიატიურული, სიმპათიური ცხოველები ნებისმიერი საცხოვრისის ჭეშმარიტი მშვენებაა.



### „ტვინის კოლოფი“

**ძველი აღმოსავლური მეცნიერება უძველესი დროიდან მოყოლებული ასხვავებდა ადამიანის ფსიქიკის ორმაგ ბუნებას: სწავლულები ხედავდნენ განსხვავებას ინტუიციასა და მსჯელობას, წარმოსახვასა და ანალიზს, ცნობიერსა და ქვეცნობიერს, ასევე აღმაფრენასა და შრომას შორის.**

როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ადამიანის თავის ტვინის ნახევარსფეროები სპეციალიზებულნი არიან: თითოეული მათგანი „პასუხისმგებელია“ ცოდნის განსაკუთრებულ სახეობაზე. თავის ტვინის მარცხენა ნახევარსფერო „პასუხისმგებელია“ მეტყველებაზე, კითხვაზე, წერაზე, ანგარიშზე, იმ ამოცანების გადაწყვეტაზე, რომლებიც ლოგიკის გამოყენებას საჭიროებენ. მოკლედ, მარცხენა ნახევარსფერო განაგებს რაციონალურ, ანალიტიკურ აზროვნებას. მარჯვენა ნახევარსფერო კი „პასუხისმგებელია“ სინამდვილის ხატოვან, სინთეზურ, მთლიან აღქმაზე, რომელიც მის დანაწევრებას არ საჭიროებს.



ცხოვრებაში ორივე ნახევარსფეროს ფუნქციები ერთმანეთს ავსებენ. მარჯვენას უპირატესობა აქვს ძირითადად გამოუცნობის, ახლის, პარადოქსულის, გაურკვევლის, არაშაბლონურის აღქმაში, მარცხენა კი აწესრიგებს, სისტემაში მოყავს გამოცდილება, საშუალებას გვაძლევს თავიდან ავიცილოთ ქაოსი და გაურკვევლობა.

### ლოკოკინიდან ვარსკვლავებამდე

**შეუძლია თუ არა ადამიანს თუნდაც უახლოეს ვარსკვლავებამდე მიღწევა? შეუძლია, თუკი იმ ათწლეულებს, რომლებიც კოსმოსურ ფრენაში უნდა გაატაროს, იგი ანაბიოზში გაატარებს.** მეცნიერები მრავალი ათეული წელია ცდილობენ ანაბიოზის მექანიზმის ჩაწვდომას, რომლის დროს ორგანიზმში ყველა სასიცოცხლო პროცესი მრავალჯერადად ნელდება – ეს კაცობრიობას საშუალებას მისცემდა გადაეწყვიტა არა მარტო კოსმოსური, არამედ მრავალი მიწიერი პრობლემაც.



ბიოლოგებს დიდი ხანია აღელვებთ ეგვიპტური უდაბნოს ლოკოკინას ფენომენი, რომელიც სიცოცხლეს დაუბრუნდა ლონდონის ბუნებრივი ისტორიის მუზეუმის ვიტრინაში გატარებული... ოთხი წლის შემდეგ! მუზეუმის თანამშრომლებმა ყურადღება მიაქციეს ლოკოკინას ნიჟარის გვერდით, რომელიც მანამდე მკვდარი ეგონათ, გაჩენილ ლორწოს. ლოკოკინა წყალში ჩააგდეს და მოლუსკი მაშინვე გამოძვრა თავისი სახლიდან, რომელშიც „გარეთ გამოუსვლელად“ ამდენი ხანი გაატარა.

ვინ იცის, იქნებ ასეთი საოცრებების მექანიზმის შესწავლამ მისცა ადამიანს „ლოკოკინიდან ვარსკვლავამდე“ მოგზაურობის საიდუმლოების გასაღები?

**უცხოური პრესის მიხედვით**

## ანეკდოტები

გუშინ იმდენჯერ შევსვით ჯანმრთელობის სადღეგრძელო, რომ დღეს ყველანი ცუდად ვართ.

* * *

ტიპი ოკულისტთან მივიდა, – მხედველობის მდგომარეობის შესახებ ცნობა მინდაო.

– ცუდი მხედველობის შესახებ ცნობა 100 დოლარი ღირს, კარგი მხედველობის დამადასტურებელი ცნობა კი – 150 დოლარი.

– ორივე მომეცით.

– ორივე რად გინდათ?

– ერთი პილოტის მოწმობის მისაღებად, მეორე კი ინვალიდობის გასაფორმებლად.



* * *

ჩემი ფსიქოლოგი მეუბნება, რომ ადამიანი კეთილი უნდა იყოს. ყოველ შემთხვევაში ამას მიმტკიცებდა მანამ, სანამ ხელს მოვამტვრევდი.

* * *

თუ გინდა, რომ ქამელეონის ნამდვილი ფერი გაიგო, იგი მეორე ქამელეონზე უნდა დააწვინო.

* * *

მრავალწლიანი ურთულეს-უძნელესი გამოკვლევების შემდეგ წარმატებით გამოიცადა გახდომის რევოლუციური მეთოდი, რისთვისაც დღეში სულ 10 წამია საჭირო, თანაც გამაოგნებელი შედეგი აბსოლუტურად გარანტირებულია სულ რამდენიმე დღეში. აი, მეთოდის არსი – ჭამეთ რაც გინდათ და რამდენიც გინდათ, მაგრამ საკვების მიღების პროცესს ყოველდღიურად დაუთმეთ მხოლოდ 60 წამი. შედეგი 100-პროცენტიანია.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.